გილოცავ, საქართველოს მშრომელო კაცო, შენი გარჯის ესოდენ დაფასებას!

უფრო მაღლა აღვმართოთ საერთო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების ალამი!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

1979 წელი კვირა 11 თებერვალი № 36 (17381) ფასი 2 კაპ.

## მოქანდაკე — დეპუტატობის კანდიდატი





მ. ბერძენიშვილის ღრმად პატრიოტული შემოქმედება — ეს არის ქანდაკებაში აღბეჭდილი ქართველი ერის ისტორია, მისი აწმყო და მომავალი. ფართოდ არის ცნობილი მისი ორიგინალური ძეგლები: შოთა რუსთაველისა — მოსკოვში, დავით გურამიშვილისა — თბილისში, გიორგი სააკაძისა — კასპში, დიდებული მონუმენტები მარნეულსა და გურჯაანში ფაშიზმზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების აღსანიშნავად, გრაციოზული ქანდაკება „მუზა" რესპუბლიკის დედაქალაქში, ძველი და მარად ახალგაზრდა ქალაქის თავისებური სავიზიტო ბარათი რომ გახდა.

ნიჭიერ მხატვარს დიდი ნდობა გამოუცხადეს — მერაბ ბერძენიშვილი დასახელებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

სურათზე: მერაბ ბერძენიშვილი; გიორგი სააკაძის ძეგლი.
გ. ჭიჭინაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქების, ავტონომიური ოკრუგების, საქალაქო და სასოფლო რაიონების, სამრეწველო, საწარმოო, სამეცნიერო-საწარმოო, სამეურნეობათშორისო, აგროსამრეწველო და სხვა გაერთიანებების, მათი საწარმოო ერთეულების, საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საკონსტრუქტორო და სხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივების წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, 1978 წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, ახალ დიდ წარმატებებს მიაღწიეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. ამაღლდა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გამარჯვებულად ცნეს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დააჯილდოვეს:

### მოკავშირე რესპუბლიკები

1978 წელს სახალხო მეურნეობის განვითარებაში წარმატებებისათვის:

რუსეთის სფსრ
უკრაინის სსრ
ბელორუსიის სსრ
უზბეკეთის სსრ
ყაზახეთის სსრ
საქართველოს სსრ
აზერბაიჯანის სსრ
ლიტვის სსრ
სომხეთის სსრ

### ავტონომიური რესპუბლიკები, მხარეები და ოლქები

წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების, ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის გაშლილ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში უმაღლესი შედეგების მიღწევისათვის:

**რუსეთის სფს რესპუბლიკაში** — ბაშკირეთის ასსრ, დაღესტნის ასსრ, კომის ასსრ, მარეთის ასსრ, კრასნოდარის მხარე, ზღვისპირეთის მხარე, სტავროპოლის მხარე, ხაბაროვსკის მხარე, ამურის ოლქი, ასტრახანის ოლქი, ვოლგოგრადის ოლქი, ვორონეჟის ოლქი, კუიბიშევის ოლქი, ქალაქი ლენინგრადი, ლენინგრადის ოლქი, ქალაქი მოსკოვი, მოსკოვის ოლქი, ორენბურგის ოლქი, როსტოვის ოლქი, სარატოვის ოლქი, სახალინის ოლქი, სვერდლოვსკის ოლქი, ჩელიაბინსკის ოლქი, ჩიტის ოლქი;

**უკრაინის სს რესპუბლიკაში** — დნეპროპეტროვსკის ოლქი, ზაპოროჟიეს ოლქი, ივანო-ფრანკოვსკის ოლქი, კიევის ოლქი, ყირიმის ოლქი, ლვოვის ოლქი, როვენის ოლქი, ტერნოპოლის ოლქი, ჩერნიგოვის ოლქი;

**ბელორუსიის სს რესპუბლიკაში** — ბრესტის ოლქი, გროდნოს ოლქი;

**უზბეკეთის სს რესპუბლიკაში** — ნამანგანის ოლქი, სამარყანდის ოლქი, ტაშკენტის ოლქი;

**ყაზახეთის სს რესპუბლიკაში** — აქტიუბინსკის ოლქი, ალმა-ათის ოლქი, ყარაღანდის ოლქი, ჩრდილოეთ ყაზახეთის ოლქი, ურალის ოლქი;

**საქართველოს სს რესპუბლიკაში** — აფხაზეთის ასსრ;

**აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში** — ნახიჩევანის ასსრ;

**ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში** — ოშის ოლქი;

**ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში** — კურგან-ტიუბინსკის ოლქი;

**თურქმენეთის სს რესპუბლიკაში** — მარის ოლქი.

**გამარჯვებულად ცნეს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დააჯილდოვეს:**

99 ქალაქი და საქალაქო რაიონი;

220 ავტონომიური ოკრუგი და სასოფლო რაიონი;

სამრეწველო, საწარმოო, სამეცნიერო-საწარმოო, სამეურნეობათშორისო, აგროსამრეწველო და სხვა გაერთიანებების, მათი საწარმოო ერთეულების, საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საკონსტრუქტორო და სხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების 1.561 კოლექტივი, აქედან 760 კოლექტივი აღნიშნულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის სრულიად საკავშირო საპატიო დაფაზე.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალეს პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანოებს ღრმად და ყოველმხრივ გააანალიზონ წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის გაშლილი სრულიად საკავშირო შეჯიბრების შედეგები. იმ ამოცანების შესაბამისად, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებიდან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებიდან, შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რათა თითოეულმა შრომითმა კოლექტივმა, რაიონმა, ქალაქმა, ოლქმა, მხარემ, რესპუბლიკამ კიდევ უფრო გააუმჯობესოს 1979 წლის გეგმისა და ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია. მიაღწიონ 1979 წელს, რომ ყველგან გავრცელდეს როსტოვის ოლქის საწარმოთა კოლექტივების თაოსნობა „ვიმუშაოთ უჩამორჩენილებოდ".

1979 წელს შეჯიბრებულთა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ იმას, რომ:

განუხრელად აამაღლონ წარმოების ეფექტიანობა და მუშაობის ხარისხი, უზრუნველყონ მაღალი საბოლოო შედეგები;

გაზარდონ შრომის ნაყოფიერება, დანერგონ წარმოებაში მეცნიერების მიღწევები, ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია, წარმოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, ხელისა და მძიმე შრომა შეცვალონ მანქანური შრომით, დანერგონ შრომის მეცნიერული ორგანიზაცია;

გაადიდონ წარმოების მოცულობა მომუშავეთა ნაკლები რიცხვით; უფრო ფართოდ გამოიყენონ ბრიგადული იჯარის, შრომის აკორდული ანაზღაურების მეთოდი, განამტკიცონ შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინა;

შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება, ყოველნაირად დაზოგონ სამუშაო დრო, ნედლეული, მასალები, სათბობი, ელექტროენერგია და სხვა მატერიალური რესურსები, უფრო სრულად გამოიყენონ წარმოების ნარჩენები, ებრძოლონ უყაირათობასა და დანაკარგებს;

გააუმჯობესონ წარმოების რიტმულობა, უთუოდ შეასრულონ მომხმარებლებისათვის პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებანი; უზრუნველყონ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებისათვის ნაწარმის მიწოდება დადებული ხელშეკრულებების ზუსტი შესაბამისობით;

გაადიდონ პროდუქციის გამოშვება მოქმედ სიმძლავრეებზე, აამაღლონ ფონდუკუგება, მოწყობილობის მუშაობის ცვლიანობის კოეფიციენტი, უფრო სწრაფად აითვისონ ახალი საწარმოო სიმძლავრეები;

აამაღლონ პროდუქციის ტექნიკური დონე, საიმედოობა და ხანგამძლეობა, გაადიდონ ხარისხისნიშნიანი ნაწარმის გამოშვება, დანერგონ პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემები;

გაზარდონ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, გააფართოონ მისი ასორტიმენტი და აამაღლონ ხარისხი; გააუმჯობესონ მომსახურების სფეროს საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობა;

წარმატებით შეასრულონ ყველა სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალებანი; კიდევ უფრო გაზარდონ ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების

(დასასრული მე-2 გვ.).

## 11 თებერვალი აეროფლოტის დღეა



დღეს ჩვენი ქვეყნის სამოქალაქო ავიაციის მუშაკები პირველად აღნიშნავენ თავიანთ დიდ დღესასწაულს — სსრ კავშირის აეროფლოტის დღეს.

ავიაციამ მტკიცედ დაიმკვიდრა საპატიო ადგილი ტრანსპორტის სხვა სახეობათა შორის. წლითიწლობით იზრდება მგზავრთა გადაყვანა და საფოსტო ტვირთზიდვა.

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისს პირდაპირი ავიაკავშირი აქვს საბჭოთა კავშირის ორმოცდაათ ქალაქთან. მთელი დღე-ღამის განმავლობაში თბილისის აეროპორტიდან საკავშირო და ადგილობრივი ავიახაზებით დაქრიან თანამედროვე საჰაერო ლაინერები. სურათზე: მორიგ რეისში მიდის „ტუ-134".

ვლ. ბინზბურგის ფოტო.

# სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, რომლებმაც განიხილეს წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, 1978 წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის გაშლილი სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, გამარჯვებულად ცნეს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დააჯილდოვეს:

### საქართველოს სს რესპუბლიკაში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დააჯილდოვეს:

საქართველოს სსრ
ქალაქი ქუთაისი
ქალაქი თბილისი
აბაშის რაიონი
ახმეტის რაიონი
მახარაძის რაიონი
ხობის რაიონი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დააჯილდოვეს და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საპატიო დაფაზე შეიტანეს:

ქუთაისის პურკომბინატის

წყალტუბოს ჩაის მრეწველობის სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანების

ქალაქ გორის № 3 სამშენებლო ტრესტის

ხობის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის

ლენინის ორდენოსანი ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის" № 1 სამშენებლო ტრესტის

გორის საწარმოო გაერთიანების

№ 5 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს

მცხეთის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების

(დასასრული მე-2 გვ.)

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

# შეჯამდა იანვრის შედეგები

**საქართველოს** კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მუშაობის წლევანდელი იანვრის შედეგები და დასახა მომდევნო პერიოდისათვის ამ დარგში პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ამოცანები.

მოხსენება განხილულ საკითხზე გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა.

სხდომაზე გამოვიდნენ მთელი რიგი პარტიული კომიტეტების მდივნები, რესპუბლიკის ზოგიერთი სამინისტროს, უწყებისა და საწარმოს ხელმძღვანელები. რომლებმაც ილაპარაკეს თავიანთ რეგიონებში, დარგებსა და საწარმოებში საქმის მდგომარეობის, მუშაობის გაუმჯობესების რეზერვების შესახებ.

სხდომაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი.

სხდომის შედეგები შეაჯამა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ. (საქინფორმი).

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1979 წლის 8 თებერვალს 82 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა მწერალი და საზოგადო მოღვაწე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ნიკოლოზ სიმონის ძე ტიხონოვი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

## სულ ალმა გევლოს, გამარჯვების გზით, ჩემო რესპუბლიკავ!

# სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

(დასასრული)

წარმოება, უსწრაფესად განავითარონ მელორეობა, საბროილერო მეფრინველეობა; უფრო სრულად გამოიყენონ სოფლის მოსახლეობის, საწარმოებისა და ორგანიზაციების დამხმარე მეურნეობათა შესაძლებლობანი ხორცისა და სხვა პროდუქციის რესურსების შესავსებად, თანამიმდევრულად განახორციელონ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ინტენსიფიკაცია და აამაღლონ მისი ეფექტიანობა, გაადიდონ მინდვრების მოსავლიანობა და ფერმების პროდუქტიულობა, გააუმჯობესონ ტექნიკის, სასუქების, მელიორირებული მიწების გამოყენება, თავიდან აიცილონ სოფლის მეურნეობის პროდუქციის დანაკარგები;

დააჩქარონ სიმძლავრეებისა და ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემა; თავი მოუყარონ რესურსებს უმნიშვნელოვანეს საერთო-სახელმწიფო ასამუშავებელ მშენებლობებზე; არსებითად გააუმჯობესონ მშენებლობის ხარისხი, შეამცირონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულება, ფართოდ დანერგონ მშენებლობის პრაქტიკაში ეფექტიანი მასალები და კონსტრუქციები, აამაღლონ შენობათა და ნაგებობათა აწყობადობის დონე, გამოიყენონ სამუშაოთა წარმოების პროგრესული მეთოდები;

უფრო სრულად დააკმაყოფილონ სახალხო მეურნეობის მოთხოვნები ტვირთზიდვაზე და დააჩქარონ ტვირთის მიწოდება, აამაღლონ მგზავრთა მომსახურების კულტურა; შეამცირონ სატრანსპორტო საშუალებათა მოცდენები და არარაციონალური ტვირთზიდვა.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანოებმა შეჯიბრება მიიჩნიონ იმ ეფექტიან მეთოდად, რომელიც მშრომელებს უნერგავს ქვეყნის ბატონ-პატრონის გრძნობას, შრომისადმი კომუნისტურ დამოკიდებულებას, მთელი სამეურნეო და სამმართველო საქმიანობის ორგანულ ნაწილად.

აამაღლონ სამეურნეო ხელმძღვანელების როლი და პასუხისმგებლობა სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისათვის, მიღებული შემხვედრი გეგმების, სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის.

ყოველნაირად განავითარონ მომიჯნავე საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივების შეჯიბრება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მომხმარებლებისათვის პროდუქციის მიწოდების დავალებათა და ვალდებულებათა შესრულებას, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების, გაერთიანებებისა და საწარმოების კოლექტივების შეჯიბრება უმნიშვნელოვანესი მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების გადაჭრის კომპლექსური პროგრამების წარმატებით შესრულებისათვის. ამ მიზნით უფრო ფართოდ დანერგონ შეჯიბრების ხელშეკრულებების, ერთობლივი სოციალისტური ვალდებულებებისა და შემხვედრი გეგმების შემუშავება, რომლებიც ითვალისწინებს წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებას, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებას.

უფრო სრულად გამოიყენონ მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებანი, რათა უზრუნველყონ სოციალისტური შეჯიბრების შედეგების ფართო საჯაროობა, გაავრცელონ მნიშვნელოვანი პატრიოტული წამოწყებები, მუშაობის მოწინავე მეთოდები, უჩვენონ შრომაში გამარჯვებულთა მაღალი შედეგების მიღწევის გზები და კოლექტივებისა და მუშაკების ჩამორჩენის მიზეზები.

**სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საკავშირო პროფსაბჭო და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ ულოცავენ რესპუბლიკის, მხარეების, ოლქების, ქალაქების, რაიონების, ავტონომიური ოკრუგების მშრომელებს, გაერთიანებების, მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობისა და სხვა დარგების საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებს — სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებს და გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ მუშები, კოლმეურნეები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, ქვეყნის ყველა მშრომელი, რომლებიც ასრულებენ პარტიის XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისისა და ნოემბრის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებს, უფრო მაღლა ალმართავენ წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, 1979 წლის გეგმებისა და ვალდებულებების და ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საერთო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების დროშას.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოებული კოლექტივების სია ქვეყნდება დარგობრივ, რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო გაზეთებში.

# სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი

(დასასრული)

გორის რაიონის სოფელ ტყვიავის ლ. კეცხოველის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი კოლმეურნეობის

გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის"

ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კოლექტივები.

**სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დააჯილდოვეს:**

ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო-სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტის

საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის"

თბილისის 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის

თბილისის საშენ მასალათა კომბინატის № 4 სამშენებლო ტრესტის № 3 მოძრავი მექანიზებული კოლონის

წყალტუბოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქალაქო სამმართველოს

„საქკომუნსპეცმშენის" ტრესტის

ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის

მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ს. ორჯონიკიძის სახელობის საპატიო ნიშნის ორდენოსანი კოლმეურნეობის

სოფელ ორპირის კოლმეურნეობის, ქ. ტყიბული

[illegible] ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის

გ[illegible] საბჭოთა მეურნეობის [illegible]

გარდაბნის რაიონის ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის

მახარაძის რაიონის ნარუჯის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივები.

## აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დააჯილდოვეს:

აფხაზეთის ასს რესპუბლიკა.

## აჭარის ასს რესპუბლიკაში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დააჯილდოვეს და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საპატიო დაფაზე შეიტანეს:

ქობულეთის რაიონის ოჩხამურის ი. ბ. სტალინის სახელობის საპატიო ნიშნის ორდენოსანი ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი.

## სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დააჯილდოვეს:

ლენინგორის რაიონის სოფელ უკანა მხარის კოლმეურნეობა „საქართველოს" კოლექტივი.

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

**10 თებერვალს გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილეს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლისა და 1979 წლის იანვრის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შედეგები, აგრეთვე 1979 წლის გეგმისა და ბიუჯეტის შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებანი.**

სკკპ XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისა და 1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგად მიღწეულია შემდგომი წარმატებანი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში, ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებაში.

ამასთან სხდომაზე აღინიშნა, რომ მრეწველობის, ტრანსპორტის მუშაობაში, სოფლის მეურნეობასა და კაპიტალურ მშენებლობაში 1978 წელს და 1979 წლის იანვარში იყო ნაკლოვანებანი. სსრ კავშირის ზოგიერთმა სამინისტრომ, უწყებამ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა ვერ უზრუნველყვეს გათვალისწინებული ასორტიმენტისა და სათანადო ხარისხის პროდუქციის გამოშვებისა და მიწოდების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, დაგროვების დავალებათა შესრულება. არ შესრულებულა ნავთობის, ქვანახშირისა და ტორფის მოპოვების, შავი ლითონების მზა ნაგლინის, მინერალური სასუქების წარმოების, პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვის, ხორცისა და მთელი რიგი სხვა სახეობის პროდუქციის წარმოების დავალებანი. რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობაში ნელა მიმდინარეობს სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალა სსრ კავშირის მინისტრებსა და უწყებათა ხელმძღვანელებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებით, ამ პლენუმებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებებში ჩამოყალიბებული დებულებებითა და დასკვნებით და გულდასმით გააანალიზონ დარგების, საქვეუწყებო გაერთიანებების, საწარმოების, მშენებლობებისა და ორგანიზაციების სამეურნეო საქმიანობის გასული წლისა და 1979 წლის იანვრის შედეგები, შეიმუშაონ და განახორციელონ არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის შემდგომი ამაღლების ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ 1979 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმას, რომ საჭიროა დროულად აამოქმედონ ობიექტები და აითვისონ ახალი საწარმოო სიმძლავრეები, მნიშვნელოვნად შეამცირონ დაუმთავრებელი მშენებლობებისა და დაუდგმელი მოწყობილობების მოცულობა. რეკომენდებულია უზრუნველყონ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების ყოველმხრივ გადიდება, მისი ასორტიმენტის გაფართოება, გაუმჯობესება და ხარისხის ამაღლება.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის სოფლტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს წინადადება მიეცათ განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება, რათა წარმატებით დაამთავრონ პირუტყვის გამოზამთრება, მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის 1979 წლის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი, უზრუნველყონ საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოთა მომზადება და ორგანიზებულად ჩატარება, დროულად მიაწოდონ სოფლის მეურნეობისათვის გამოყოფილი ტრაქტორები, ავტომობილები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და მათი სათადარიგო ნაწილები, საწვავ-საპოხი მასალები, მინერალური სასუქები და სხვა მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ა. ნ. კოსიგინმა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ა. პ. კირილენკო. (საქდესი).

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის ინდოეთში მომავალი ვიზიტის შესახებ

**ინდოეთის** მთავრობის მიწვევით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ეწვევა ინდოეთს მიმდინარე წლის მარტის პირველ ნახევარში.

# მიფრინავს „კოსმოს - 1075"

**საბჭოთა** კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1075".

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო - გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საქდესი).

*11 თებერვალი აეროფლოტის დღეა*



## მფრინავთა დღესასწაული

**თბილისში** გაიმართა აეროფლოტის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება,

საზეიმო კრება გახსნა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ო. ხიზანიშვილმა.

მქუხარე ტაშის გრიალში შეკრებილებმა საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსმა, სოციალისტური შრომის გმირმა ი. სამადალაშვილმა.

**საუცხოო** საწარმოო მაჩვენებლებით ეგებება სსრ კავშირის აეროფლოტის დღეს თბილისის გაერთიანებული რაზმის „ტუ-154" საჰაერო ხომალდის ეკიპაჟი, რომელსაც ხელმძღვანელობს პირველი კლასის პილოტი კომუნისტი ზ. მიქელაძე.

პირადად ზ. მიქელაძემ იფრინა 13.500 საათი.

**სურათზე:** „ტუ-154" თვითმფრინავის ეკიპაჟი (მარცხნიდან): შტურმანი მ. გოჩალეიშვილი, ხომალდის მეთაური ზ. მიქელაძე, მეორე პილოტი მ. მალიანი და ბორტინჟინერი პ. არჯევანიძე.

ვლ. ბინზბურგის ფოტო.

# სანამ თვითმფრინავი აფრინდებოდეს...

**როგორც** ყველას, ბავშვობაში მასაც ჰქონდა თავისი ოცნება. განმარტოებულს შეძლო საათობით ეცქირა ცაში ლაღად მონავარდე თვითმფრინავებისათვის. მისი ბავშვობისდროინდელი ოცნებაც ხომ სწორედ ცის უკიდეგანო სივრცის დაპყრობა იყო... გადიოდა წლები. თვალსა და ხელს შუა გაირბინა უზრუნველმა ბავშვობამ...

აუხდა ოცნება — თოთხმეტი წელი ჩვენი ქვეყნის სამოქალაქო ავიაციის საჰაერო ფლოტში გაატარა, 2 მილიონი კილომეტრი იფრინა და ჰაერში 10 ათასი საათი ანუ წელიწადი და 51 დღე დაჰყო. მაგრამ, თითქოს, მაინც ვერ იჯერა გული.

დღეს კი აი უკვე თითქმის რვა წელია, რაც ყოფილი ბორტრადისტი მშობლიურ მიწას „დაუბრუნდა". „არამიწიერ" საქმიანობას შეჩვეულს პირველ ხანებში ერთობ გაუჭირდა და თვალი სულ ცისკენ ეჭირა. მაგრამ დრომ თავისი გაიტანა და აქაც, როგორც იქ, ჩვეული ენერგიით შეუდგა საქმიანობას, თუმცა ცის უკიდეგანო და უსასრულო სივრცისადმი სიყვარული დღემდე არ განელებია.

ამას წინათ მეგობართან ერთად მოსკოვის მიმართულებით თვითმფრინავის ბილეთის ასაღებად ცენტრალურ სააგენტოში მისულნი, მასპინძლის მყუდრო კაბინეტში ვისხედით და ვსაუბრობდით, საუბარს ზოგჯერ საქმეზე შემოსული რომელიმე თანამშრომელი ან გარეშე მთხოვნელი თუ შეგვაწყვეტინებდა, შემომსვლელი და მთხოვნელი კი აქ არ ილევა. მთხოვნელებს ერთი რამ, ამა თუ იმ მიმართულებით თვითმფრინავის ბილეთი სურთ, თანამშრომლებს კი ათასი.

ჩვენი მასპინძელი საშუალო ტანის, შავგვრემანი, ენერგიული ვაჟკაცი, სწორედ ის — ბავშვობაში ცის მოტრფიალე — დღეს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს საჰაერო მიმოსვლის ცენტრალური სააგენტოს უფროსი სერგო ჯიქია გახლავთ.

ს. ჯიქია უკვე რამდენიმე წელია ცენტრალურ სააგენტოს განაგებს. მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და ინიციატივით სააგენტოში მთელი რიგი ღონისძიებანი განხორციელდა, კიდევ უფრო დაიხვეწა და სრულყოფილი გახდა მგზავრთა კულტურული მომსახურება. აქ სულ უფრო ფართოდ იკიდებს ფეხს ყოველგვარი სიახლე, მათ შორის ბილეთების შეკვეთა როგორც ორგანიზაციისათვის, ისე შინ მიტანით.

ჩვენ მივულოცეთ „აეროფლოტის დღე" და ვთხოვეთ ეამბნა ბოლო დროს სააგენტოში მომხდარ სიახლეებზე. აი რა გვითხრა მან:

— ბოლო დროს განსაკუთრებით დიდ ყურადღებას ვაქცევთ ადგილობრივი ხაზების განვითარებას. ამჟამად ჩეხური წარმოების კომფორტული პატარა, 17 ადგილიანი „აერობუსები" „ლ-410" რეისებს ასრულებენ შემდეგი მარშრუტებით: თბილისი-ზუგდიდი; ზუგდიდ-სოხუმი; სოხუმ-ბათუმი; სოხუმ-ფოთი. მალე თვითმფრინავები იფრენენ თბილის-ამბროლაურისა და კახეთის წრიული ხაზით.

მგზავრთა კეთილმომსახურებისათვის ცენტრალურ სააგენტოში შექმნილია ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ მებრძოლი ჯგუფი, რომელიც ავლენს ბილეთის გადამალვის შემთხვევებს, რაც წინათ ზოგჯერ ხდებოდა. ამასთან ერთად საბილეთო სალაროები უწინდებურად როდი მუშაობენ. აქ დაინერგა მოლარეთა და დისპეტჩერთა შესვენების ცვალებადი გრაფიკი, რამაც ერთი საათით გაახანგრძლივა საბილეთო სალაროების მუშაობა. მგზავრებს ეს ძალიან მოეწონათ. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ ცენტრალური სააგენტო, დღესდღეობით მეტად შეუფერებელ შენობაშია მოთავსებული, რის გამოც ელექტროტაბლოს დაყენება შეუძლებელია, იძულებული ვართ ყოველ 15 წუთში რადიოთი ვაცნობთ მგზავრებს თუ რამდენი თავისუფალი ბილეთია სალაროებში, ასე რომ აღარც ბილეთი ცდება და მგზავრიც კმაყოფილია. ბოლო თვე-ნახევრის განმავლობაში არც ერთი საჩივარი არ მიგვიღია.

... ცენტრალური სააგენტოს თანამშრომლები თავს არ ზოგავენ მგზავრთა კულტურული მომსახურებისათვის. სწორედ მათი და მათი ხელმძღვანელის დიდი დამსახურებაა, რომ აქ მოსული თითოეული მგზავრი დიდად კმაყოფილი ტოვებს სააგენტოს და მასთან ერთად სტუმართმოყვარე თბილისს.

**თ. კინწურაშვილი.**

# საერთაშორისო ცხოვრება

## ირანი: რევოლუციის ახალი ფაზა

**თეირანი**, 9 თებერვალი. (საქდესი). ირანის დროებითი მთავრობის მეთაურმა მეჰდი ბაზარგანმა დღეს თეირანის უნივერსიტეტში მასობრივ მიტინგზე გამოსვლისას ხაზი გაუსვა, რომ ირანის რევოლუციამ თავისი განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო. მან დაახასიათა ამ ეტაპის მთავარი ამოცანები და თქვა, რომ დროებითმა მთავრობამ მთლიანად უნდა აიღოს ხელში ძალაუფლება, აღადგინოს ეკონომიკა, მოაწყოს რეფერენდუმი ქვეყნის მომავალი სახელმწიფო წყობის საკითხზე, შემდეგ კი ახალი პარლამენტის არჩევნები. ამის შემდეგ დროებითი მთავრობა თავის ამოცანას შესრულებულად მიიჩნევს.

როგორც პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, ახლა იგი ქმნის თავის კაბინეტს და მინისტრთა გვარებსაც „ძალიან მალე" გამოაცხადებს. მ. ბაზარგანი შეეხო მდგომარეობას ირანის არმიაში და აღნიშნა, რომ ჯარისკაცთა უმრავლესობა მხარს უჭერს შაჰის საწინააღმდეგო მოძრაობას. მან ხაზი გაუსვა, რომ არმია არ უნდა იყოს „იმპერიალიზმის იარაღი".

როგორც მიმომხილველებს მიაჩნიათ, გუშინ მასობრივი დემონსტრაციების დროს, რომელიც მთელ ირანში გაიმართა, დროებითმა მთავრობამ მიიღო ირანელი ხალხის უდავო „ნდობის ვოტუმი". თეირანის მანიფესტაციის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ ირანიდან შაჰის გამგზავრება, ქვეყანაში აიათოლა ხომეინის დაბრუნება და დროებითი მთავრობის გამოცხადება მხოლოდ პირველი ნაბიჯია სახალხო რევოლუციის სრული გამარჯვების გზაზე.

ამავე დროს თანდათან იშლება შაჰის მიერ შექმნილი სახელმწიფო ხელისუფლების ინსტიტუტები. პრაქტიკულად არ მოქმედებს ეგრეთ წოდებული რეგენტის საბჭო, პრესის ცნობების თანახმად გადადგა პარლამენტის 268 დეპუტატიდან 70.

**პარიზი**, 9 თებერვალი. (საქდესი). ბახთიარი კვლავ დაემუქრა შაჰის საწინააღმდეგო მოძრაობის აქტივისტებს. პარიზის გაზეთ **„მონდისათვის"** მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ ბრძანებას გასცემს დააპატიმრონ დროებითი მთავრობის ნებისმიერი წევრი, თუ იგი შეეცდება თავისი კონტროლი დაამყაროს ამა თუ იმ სამინისტროში. ხომეინის წინააღმდეგ მთელი რიგი შეურაცხმყოფელი გამოხდომების შემდეგ, მან თქვა: „ქვეყანას არ შეიძლება ყავდეს ორი მთავრობა. ამ მხრივ არავითარ კომპრომისს არ დავთანხმდები, რადგან არ მიმაჩნია, რომ ხომეინის ქონდეს მთავრობის დანიშვნის უფლება".

**ბეირუთი**, 9 თებერვალი. (საქდესი). აქ მიღებული ცნობების თანახმად, მოლაპარაკების შედეგად, რომელიც ბახთიართან ჰქონდა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს სპეციალურ წარმომადგენელს ე. მარბოდს, მორიგდნენ, რომ გააუქმებენ კონტრაქტებს ირანის მიერ 10 მილიარდი დოლარის ამერიკული იარაღისა და სამხედრო ტექნიკის შესყიდვის შესახებ. ამასთან დაკავშირებით შეწყდება ჩაჰ ბეხარში სამხედრო-საზღვაო ბაზის მშენებლობაც. მიმდინარეობს აგრეთვე მოლაპარაკება ირანში ინგლისური ტანკების „ჩიფტენის" მიწოდების შემცირების შესახებ. ბახთიარის მთავრობის ამგვარი მოქმედება აქ მიაჩნიათ იძულებით ზომად, რომელსაც მიმართავენ თავისი მთავრობის პოზიციების განმტკიცების მიზნით.

## ჰ. შმიდტის განცხადება

**ბონი**, 10 თებერვალი. (საქდესი). ამერიკა-ჩინეთის მოლაპარაკებასთან დაკავშირებით, რომელიც ვაშინგტონში გაიმართა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურმა კანცლერმა ჰ. შმიდტმა განაცხადა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისათვის საბჭოთა კავშირთან ურთიერთობას „უპირატესი მნიშვნელობა" აქვს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ჩინეთის ურთიერთობასთან შედარებით. როგორც დპას სააგენტო იუწყება, ჰ. შმიდტმა ეს განცხადება გააკეთა ბუნდესტაგში გერმანიის სოციალ- დემოკრატიული პარტიის ფრაქციის სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში.

კანცლერმა აღნიშნა, აგრეთვე რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეს თვალსაზრისი მან „მთელი სიცხადით" ჩამოაყალიბა გვადელუპის კუნძულზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯ. კარტერთან, საფრანგეთის პრეზიდენტ ვ. ჟისკარ დესტენთან და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრთან ჯ. კალაგენთან შეხვედრის დროს.

## სენატის კომისიაში

**ვაშინგტონი**, 9 თებერვალი. (საქდესი). **სენატის საგარეო საქმეთა კომისიაში განიხილეს საკითხი ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობის შესახებ.** კომისიამ მოიწონა, რომ პეკინში ამერიკის შეერთებული შტატების კავშირის ჯგუფის ახლანდელი ხელმძღვანელი ლ. ვუდკოკი დაინიშნა ამერიკის ელჩად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. ელჩის პოსტი მან უნდა დაიკავოს 1 მარტიდან.

კომისიის სხდომის დროს სენატორმა ჩ. პერსიმ სთხოვა ლ. ვუდკოკს განემარტა დენ სიაოპინის ანტისაბჭოთა გამონათქვამები. კერძოდ, მისი მტკიცებანი „ირანის საქმეებში სსრ კავშირის როლის შესახებ". ვუდკოკმა ასე უპასუხა: „ჩინელები ხშირად მიაწერენ საბჭოთა კავშირს იმას, რაც საერთოდ არ არსებობს". მან აღნიშნა, რომ არ არის არავითარი იმის მტკიცებულობა, რომ სსრ კავშირი „ერეოდეს" ირანის ამბებში.

## ჟ. მარშე ჩინეთის პოლიტიკის შესახებ

**პარიზი**, 9 თებერვალი. (საქდესი). „**მონტე კარლოს რადიოთი" გამოსვლისას საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივანი ჟ. მარშე შეეხო ჩინეთის საგარეო პოლიტიკას.** ამ საკითხში, ხაზი გაუსვა მან, საფრანგეთის კომპარტიასა და პეკინის ხელმძღვანელებს შორის „მეტად სერიოზული უთანხმოება არსებობს. მაგალითად, ჩინეთის ხელმძღვანელები არიან ნატოს, ევროპის ინტეგრაციის, ევროპულ სუვერენიტეტზე ხელის აღების მომხრენი. მათ განსაკუთრებული ურთიერთობა აქვთ ჩილეში პინოჩეტთან. პეკინი ემუქრება ზოგიერთ მეზობელ ქვეყანას, როგორიცაა, მაგალითად, ვიეტნამს".

## პეკინის საშიში კურსი

**ჰანოი**, 9 თებერვალი. (საქდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, ჩინეთის შეიარაღებული ძალები ახალ პროვოკაციებს მიმართავენ ვიეტნამ-ჩინეთის საზღვარზე.

თებერვლის პირველ რიცხვებში ჩინელი ჯარისკაცები თავს დაესხნენ ვიეტნამელ მესაზღვრეებს ლაიჩაუს პროვინციაში, რის შედეგად დახოცილია სამი და დაჭრილია ექვსი კაცი. ხოანგლიენშონის პროვინციაში დახოცილია ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სამი მესაზღვრე.

პეკინელი ხელისუფალნი, წერს გაზეთი **„ნიან ზანი"**, აძლიერებენ ჯარებს ჩვენს საზღვრებზე. ომით ემუქრებიან ჩვენს ხალხს. ასეთ ვითარებაში ჩვენი ვალია განუხრელად ავამაღლოთ სიფხიზლე და საბრძოლო მზადყოფნა.

**ტოკიო**. ჩინეთი სულ უფრო აძლიერებს სამხედრო ზეწოლას ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაზე, წერს დღეს სარედაქციო სტატიაში გაზეთი **„აკაჰატა"**. მარტო ამა წლის იანვარში მან 117-ჯერ დაარღვია ვიეტნამის საზღვარი. ვითარება ვიეტნამ-ჩინეთის საზღვარზე მწვავდება, პეკინი მნიშვნელოვანი მასშტაბის ჯარებს უყრის თავს ვიეტნამის საზღვარზე. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე დენ სიაოპინი იმასაც კი ამბობს, თითქოს მოსალოდნელი იყოს ჩინეთის სამხედრო მოქმედება ვიეტნამის წინააღმდეგ. პეკინის ასეთი კურსი, ხაზს უსვამს „აკაჰატა", სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევაა.

იაპონიის გაზეთები იმოწმებენ ეროვნული თავდაცვის სამმართველოს მონაცემებს და იუწყებიან, რომ ჩინეთმა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საზღვარზე თავი მოუყარა რამდენიმე ასეულ საბრძოლო თვითმფრინავს და 18-მდე ქვეით დივიზიას.

## დემონსტრაციები შანხაიში

**სინგაპური**. 9 თებერვალი. (საქდესი). ჩინეთიდან აქ მიღებული ცნობების თანახმად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უდიდეს ქალაქ შანხაიში გრძელდება მრავალათასიანი დემონსტრაციები ახალგაზრდებისა, რომლებიც ქალაქში ჩავიდნენ რაიონებიდან, სადაც ისინი ძალით გაასახლეს „სოფლად შრომითი წრთობის" საბაბით. როგორც პრესა იუწყება, მარტო შანხაიდან სოფლად მილიონზე მეტი კაცი გაგზავნეს. დემონსტრანტები იკრიბებიან ცენტრალურ ქუჩებში ჩინეთის კომპარტიის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო რევკომის შენობასთან და მოითხოვენ მშობლიურ ადგილებში დაბრუნებას, სამუშაოს მიცემას.

ქალიშვილები და ვაჟები პროტესტს აცხადებენ ტყეებსა, სოფლად და შორეულ რაიონებში სისტემატური იძულებითი გაგზავნის წინააღმდეგ.

# საერთაშორისო ცხოვრება

# ნიკოლოზ ტიხონოვი

82 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა მწერალი და საზოგადო მოღვაწე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სოციალისტური შრომის გმირი, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ნიკოლოზ სიმონის ძე ტიხონოვი. ეს მძიმე დანაკლისია მთელი მრავალეროვნული საბჭოთა კულტურისათვის.

როგორც მწერალი და მოქალაქე ნ. ს. ტიხონოვი შვა სოციალისტურმა რევოლუციამ. რევოლუციის დაწყებისთანავე იგი იყო ახალი საზოგადოებისათვის ბრძოლის მოწინავე უბნებზე. სამოქალაქო ომის წლებში ნ. ს. ტიხონოვი იბრძოდა წითელი არმიის რიგებში. დიდი გორკის თანამებრძოლი, იგი გახდა საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მისი ნაწარმოებების პირველმა კრებულებმა, რომლებიც 1920-1922 წლებში გამოქვეყნდა, ლექსების ციკლმა „ურდო" და „ლუდი", რომლებიც დიდი ოქტომბრის სულისკვეთებით იყო გაღენთილი, ნ. ს. ტიხონოვი დააყენეს თვალსაჩინო საბჭოთა პოეტების რიგებში.

ნ. ს. ტიხონოვის მთელი ცხოვრება სოციალისტური სამშობლოს, საბჭოთა ლიტერატურის საქმის უანგარო სამსახურის მკაფიო მაგალითია. მისი ნაწარმოებები უმღერიან საბჭოთა ხალხის საბრძოლო და შრომით გმირობას, მოუწოდებენ ახალი გამარჯვებებისათვის. მისი წიგნებით იზრდებოდა და ახლაც იზრდება საბჭოეთის მოქალაქეთა ბევრი თაობა.

ნ. ს. ტიხონოვის შთაგონების წყარო იყო ხალხის ცხოვრება. მის ნაწარმოებებში ნათლად აისახა ახალი სოციალისტური წყობის გამარჯვებები, ახალი ადამიანის დაბადება, თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი მოვლენები. 900 ბლოკადის დღე ნ. ს. ტიხონოვმა გაატარა ლენინგრადში, სადაც იგი მეთაურობდა ლენინგრადის ფრონტის მწერალთა ჯგუფს. აქედან მთელ მსოფლიოში გაისმა მისი მგზნებარე პოემა „კიროვი ჩვენთან არის".

მომდევნო წლებში გრძელდება ნ. ს. ტიხონოვის დაუცხრომელი და ნაყოფიერი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. საყოველთაოდ ცნობილი გახდა მისი წიგნები „ქართული გაზაფხული", „ორი ნაკადი", „დრო და გზები", „ექვსი კოლონა" და სხვ. მწერლის შემოქმედება გამოირჩევა მაღალი იდეურობით, მგზნებარე მოქალაქეობრიობით, პუბლიცისტური სიმძაფრით, მხატვრული დახვეწილობით.

თავის შემოქმედებით მუშაობას ნ. ს. ტიხონოვი ყოველთვის უხამებდა მრავალმხრივ საზოგადოებრივ საქმიანობას. იგი იყო სსრ კავშირის 2-9 მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

დიდია მწერლის წვლილი მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში. ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკისა და მხარის ლიტერატორთა ერთგული მეგობარი და დამრიგებელი, იგი აქტიურად უწყობდა ხელს, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა მკითხველისათვის გაეცნო სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურების მხატვრული მიღწევები. ნ. ს. ტიხონოვი არის ტ. შევჩენკოს, შ. რუსთაველის, კ. ხეთაგუროვის სახელობის პრემიების ლაურეატი. მას მინიჭებული აქვს მთელი რიგი რესპუბლიკების სახალხო პოეტისა და კულტურის დამსახურებული მოღვაწის წოდება. რამდენიმე ათეული წლის მანძილზე იგი იყო სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

ნ. ს. ტიხონოვი ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის უდრეკი მებრძოლი იყო. იგი იდგა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო მოძრაობის სათავეებთან, დაუცხრომლად იბრძოდა ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ, ფაშიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების თანამშრომლობისა და შეკავშირების გაფართოებისათვის. საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის დაარსების დღიდანვე იგი უცვლელად იყო მისი თავმჯდომარე. ნ. ს. ტიხონოვი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საპატიო პრეზიდენტი იყო; მას მინიჭებული აქვს საერთაშორისო ლენინური პრემია „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის", ფ. ჟოლიო-კიურის სახელობის „მშვიდობის ოქროს მედალი", მშვიდობის მსოფლიო საბჭოს კულტურის დარგის პრემია, ჯავაჰარლალ ნერუს სახელობის პრემია.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დიდად დააფასეს ნ. ს. ტიხონოვის დამსახურება და მიანიჭეს მას სოციალისტური შრომის გმირის წოდება. იგი დაჯილდოებულია ოთხი ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის, წითელი დროშის ორდენებით, ორი სამამულო ომის I ხარისხის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, მედლებით, მინიჭებული აქვს ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატის წოდება.

საბჭოთა სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, სოციალისტური საზოგადოების შთაგონებული მომღერალი, საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი კლასიკოსი ნ. ს. ტიხონოვი სამუდამოდ ეხსომება ხალხს.

მისი წიგნები ემსახურებოდა და კვლავაც ემსახურება კომუნისტური მშენებლობის საქმეს, ქვეყნად მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეს.

ლ. ი. ბრეჟნევი, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, დ. ა. კუნაევი, ა. ი. პელშე, გ. ვ. რომანოვი, მ. ა. სუსლოვი, დ. თ. უსტინოვი, კ. უ. ჩერნენკო, ვ. ვ. შჩერბიცკი, გ. ა. ალიევი, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ვ. კუზნეცოვი, პ. მ. მაშეროვი, ბ. ნ. პონომარიოვი, შ. რ. რაშიდოვი, მ. ს. სოლომენცევი, ნ. ა. ტიხონოვი, ე. ა. შევარდნაძე, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, ი. პ. რიაბოვი, კ. ვ. რუსაკოვი, მ. ს. გორბაჩოვი, ა. პ. ალექსანდროვი, ვ. გ. აფანასიევი, ა. ა. ეპიშევი, ს. გ. ლაპინი, ვ. ნ. მაკეევი, გ. ი. სტუკალინი, ე. მ. ტიაჟელნიკოვი, ვ. თ. შაური, ა. ი. შიბაევი, მ. პ. გიორგაძე, თ. ტ. ერმაში, გ. ნ. პასტუხოვი, გ. მ. მარკოვი, გ. გ. აბაშიძე, ჩ. ტ. აიტმატოვი, ა. ტ. ალიმჟანოვი, ა. ა. ანანიევი, ტ. ასკაროვი, ნ. პ. ბაჟანი, ს. ა. ბარუზდინი, ა. ა. ბელიაევი, ი. ვ. ბონდარევი, პ. პ. ბროუ, პ. უ. ბროვკა, ი. ი. ვასილიევი, ი. ნ. ვერჩენკო, ა. ტ. გონჩარი, ნ. მ. გრიბაჩოვი, პ. ა. ზაგრებელნი, რ. თ. კაზაკოვა, მ. კანოატოვი, ი. ა. კასუმოვი, ვ. პ. კატაევი, ა. პ. კეშოკოვი, ვ. მ. კოჟევნიკოვი, ვ. პ. კოზაჩენკო, მ. ი. კოტოვი, თ. თ. კუზნეცოვი, ლ. ა. კულიჯანოვი, ტ. ყურბანოვი, პ. ა. კუუსბერგი, ლ. მ. ლეონოვი, ა. მ. მალდონისი, ა. მ. მირზაგიტოვი, ს. ვ. მიხალკოვი, გ. მ. მუსრეპოვი, ს. ს. ნაროვჩატოვი, ლ. ნ. ნოვიჩენკო, ვ. მ. ოზეროვი, ბ. ი. ოლეინიკი, ვ. ა. პეტროსიანი, ბ. ნ. პოლევოი, ნ. ა. პონომარიოვი, გ. რ. პრიედე, რ. ი. როჟდესტვენსკი, ა. დ. სალინსკი, ს. ვ. სარტაკოვი, კ. მ. სიმონოვი, მ. ტანკი, ზ. პ. თუმანოვა, ა. ა. სურკოვი, ი. ი. სუროვცევი, ნ. ტ. ფედორენკო, ტ. ნ. ხრენიკოვი, ა. ბ. ჩაკოვსკი, ა. ნ. ჩეპუროვი, მ. ს. შაგინიანი, ო. ნ. შესტინსკი, მ. ა. შოლოხოვი, ს. პ. შჩიპაჩოვი, კ. ნ. იაშენი.

## კოლექტივი გმობს უღირს წევრს

ეს კრება საწარმოო გაერთიანება „თბილავტოტექმომსახურების" კლუბში გაიმართა. კრებაზე გამოსულებმა გულისწყრომით, აღშფოთებით ილაპარაკეს მათი კოლექტივის უღირსი წევრის თეიმურაზ არჩვაძისა და მისი ამფსონის გიორგი კუკულაძის ბანდიტურ მოქმედებაზე. გაერთიანების დირექტორმა გ. გუდაძემ, ტექმომსახურების სადგურის უფროსმა ა. ღუდუშაურმა, № 7 ტექმომსახურების ოსტატმა თ. მოქიამ, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატმა გ. სუხინმა, № 8 ტექმომსახურების სადგურის ოსტატმა გ. ლომთაძემ, № 1 ტექმომსახურების პარტკომის მდივანმა თ. მახარაშვილმა, ტექმომსახურების სადგურების ოსტატებმა ი. ნაზაროვმა, ვ. ნიკოლაიშვილმა, გ. მირველოვმა და ვ. ნაგორნიმ ერთხმად აღნიშნეს, რომ ერთმა უღირსმა და ნაძირალამ შეარცხვინა არა მარტო მთელი ჩვენი კოლექტივი, არამედ მთელი თბილისიც.

გამოსულთა სიტყვებს წითელ ზოლად გასდევდა აზრი, რომ საჭიროა ნეგატიური, ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ უფრო ფართო ფრონტით ბრძოლის გაჩაღება. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დამყარდეს თბილისში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი!



# მარად დაუვიწყარი

ძნელია შეურიგდე საყვარელი პოეტისა და ახლობელი ადამიანის დაკარგვას. მაგრამ კიდევ უფრო ძნელია იმ ადამიანის დაკარგვასთან შერიგება, რომელიც ამავე დროს იყო მთელი ჩვენი ხალხისა და მისი კულტურის ჭეშმარიტი მეგობარი.

ჩვენი დროის დიდი რუსი პოეტი, ფართო მასშტაბის პოპულარული საზოგადო მოღვაწე ნიკოლოზ ტიხონოვი ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს იყო დაკავშირებული საქართველოსთან არაჩვეულებრივი სიახლოვითა და მეგობრობით.

საქართველო იყო მისი პოეზიის შთაგონება, ქართული თემა მისი შემოქმედების ერთ-ერთ უმთავრეს თემად იყო ქცეული და სწორედ ამ თემაზე შექმნილი ლირიკული შედევრებით გაამდიდრა მან არა მარტო ახალი რუსული პოეზია, არამედ მთელი მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურაც.

თავისი სილამაზითა და კეთილშობილებით განუმეორებელი ეს მეგობრობა იმით დაიწყო, რომ ნიკოლოზ ტიხონოვი გახდა რუსი მკითხველის ერთ-ერთი პირველი გზის გამკვლევართაგანი ქართული პოეზიის მანამდე შედარებით უცნობ სამყაროში.

ნიკოლოზ ტიხონოვმა თავის მეგობარ რუს პოეტებთან ბ. პასტერნაკთან, პ. ანტოკოლსკისთან, ნ. ზაბოლოცკისთან და სხვებთან ერთად შექმნა ქართული კლასიკური და თანამედროვე პოეზიის თარგმანები, რომლებმაც მაშინვე ფართოდ გაუთქვეს სახელი მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობას და დღემდე საბჭოთა თარგმნითი ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებად ითვლება.

ქართველი პოეტების არაერთ თაობასთან პირადმა მეგობრობამ, საქართველოს ისტორიისა და კულტურის გაცნობამ, ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ჩახედვამ საქართველოს თემა პოეტისათვის ორგანული, სიცოცხლის მთელ მანძილზე მისი შთაგონებისაგან განუყრელი გახადა.

ნიკოლოზ ტიხონოვი სამართლიანად ამაყობდა იმით, რომ იგი რუსი პოეტი იყო. მაგრამ ამასთან ერთად არანაკლებ სასახელოდ მიაჩნდა ყოფილიყო ყველა საბჭოთა ხალხის გულწრფელი მეგობარი, მათი ჭირისა და ლხინის მოზიარე.

გორკის შემდეგ საბჭოთა ლიტერატურაში არ ყოფილა მეორე დიდი მწერალი, რომელსაც თავისი შემოქმედებითა და ღვაწლით ამდენი ამაგი დაედოს ჩვენი ხალხების ლიტერატურათა მეგობრობის განმტკიცებისათვის. ამიტომ იყო იგი ესოდენ პოპულარული ყველა საბჭოთა ხალხის ლიტერატურაში, ამიტომ ჰქონდა მინიჭებული არაერთი რესპუბლიკის მიერ სახალხო პოეტისა და ეროვნული პრემიების ლაურეატის წოდება.

ნიკოლოზ ტიხონოვი ჩვენი დროის რუსულ პოეზიაში მოგვევლინა საქართველოსთან მეგობრობის პუშკინისეული ტრადიციის გამგრძელებლად. მან შემოქმედებითად განავითარა გორკის, მაიაკოვსკისა და ესენინის ეს სახელოვანი ტრადიცია და რუს პოეტთა ახალგაზრდა თაობებს გადასცა შესანიშნავი ესტაფეტა.

სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე პოეტს მიმოწერა არ შეუწყვეტია ქართველ მეგობრებთან. იგი თვალყურს ადევნებდა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებას და აღფრთოვანებული იყო უკანასკნელ წლებში მის მიერ მოპოვებული გამარჯვებებით.

ქართველი ხალხი სიყვარულითა და პატივისცემით ხრის თავს დიდი პოეტისა და უანგარო მეგობრის ნიკოლოზ ტიხონოვის ცხედრის წინაშე, რომლის ამაგსა და ღვაწლს იგი არასოდეს არ დაივიწყებს.

გრიგოლ აბაშიძე.

ნიკოლოზ ტიხონოვის ეს ფოტოსურათი გადაღებულია 1966 წელს თბილისში შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეებში. ქვეყნდება პირველად.
ვლ. გინზბურგის ფოტო („კომუნისტი").

## „კომუნისტის" პუბლიკაცია

ქართული კულტურის დიდ მეგობარსა და პროპაგანდისტს, გამოჩენილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს ნიკოლოზ ტიხონოვს სანდრო შანშიაშვილზე წერილის დაწერა „კომუნისტის" რედაქციამ ჯერ კიდევ შარშან, შემოდგომაზე სთხოვა, როცა საქართველოში საბჭოთა ლიტერატურის დღეები ტარდებოდა, ხოლო ჩვენი საზოგადოებრიობა მხცოვანი ქართველი პოეტის დაბადების 90-ე წლისთავს აღნიშნავდა.

იმხანად ნიკოლოზ ტიხონოვს თბილისშიც ველოდით, როგორც ლიტერატურის დღეების სასურველ მონაწილეს. მაგრამ ავადმყოფობის გამო ვერც გვესტუმრა და ვერც წერილი დაგვიწერა, თუმცა [illegible] რედაქციაში და დაგვპირდა — გამოვჯანმრთელდები და თქვენს [illegible] ბო. სიტყვა [illegible] და თუმცა გვიან, მაგრამ დანაპირების შესრულებით მაინც გაგვახარა. წერილი მივიღეთ, ვთარგმნეთ, სასტამბოდ გავამზადეთ, მაგრამ, სავალალოდ, წერილის გამოქვეყნებას წინ უსწრო, ეგზომ სამწუხარო ცნობამ.

ნიკოლოზ ტიხონოვი

## ჩემი სიყრმის მეგობარი

როგორც ყოველი ნამდვილი პოეტის ლექსებმა, სანდრო შანშიაშვილის ლექსებმაც ათწლეულების განმავლობაში დაკარგა თავისი კალენდარული თარიღები და ახალ თაობათა ხსოვნაში ცოცხლობს როგორც ცხოვრებისათვის, ყოველთვის ჭეშმარიტი პოეზიისადმი მიმსწრაფი ახალგაზრდებისათვის საჭირო ლექსები.

სანდრო შანშიაშვილი იმ ყაიდის ბრძენი როდია, რომელიც აფორიზმებს ღაღადებს და ჭკუას ასწავლის ახალგაზრდა თაობებს. არა, იგი სულით ისევე ახალგაზრდაა, როგორიც მაშინ იყო, როცა ქმნიდა თავის „კახეთის პატარძალს". მას გონების მახვილი თვალი აქვს და ღრმად გრძნობს თანამედროვეობას.

იგი ქვეყნის აღორძინების ისტორიაში შევიდა, უწინარეს ყოვლისა, როგორც მოწინავე დრამატურგიის რევოლუციური შემოქმედი. ამ სარბიელზე იგი პირველ რიგებშია. ისეთ მოწინავე თეატრს, როგორიც რუსთაველის თეატრია, ჰქონდა რეპერტუარი, სადაც ჭარბობდა სანდრო შანშიაშვილის ნაწარმოებები. ასე იყო დიდხანს და შეადგინა მთელი ეპოქა, რომელიც თეატრის ისტორიაში დარჩა.

რუსთაველის თეატრის ისტორიკოსმა უწინარეს ყოვლისა უნდა განიხილოს სანდრო შანშიაშვილის პიესები — „ჰერეთის გმირები", „სპარტა", „ლატავრა", „ანზორი"...

იგი ავტორია აგრეთვე ჰეროიკული დრამისა „არსენა", რომელიც მარტო ქართული სცენისათვის როდია სამაყო. ეს პიესა, უდავოდ, საუკეთესოა ისტორიულ თემაზე დაწერილ მის პიესებს შორის. ტყუილად როდი გახდა იგი მიბაძვის საგანი დრამატურგებისათვის, რომლებმაც შექმნეს პიესები თავიანთი ეროვნული გმირების, ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლების შესახებ.

სანდრო შანშიაშვილმა დრამატურგიაში შესხა ხორცი ლეგენდას სახალხო გმირის შესახებ. ამ გმირს თაყვანს სცემდა ხალხი. მან შეთხზა პოემა, რომელიც დაახლოებით ორმოცდაათჯერ გამოიცა. არსენაზე წერდნენ აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, ილია ჭავჭავაძე, მაგრამ სახალხო გმირის შესახებ პიესა ახალი ძალით აჟღერდა, როცა სანდრო შანშიაშვილმა იგი სცენაზე გამოიტანა საქართველოს რევოლუციური განახლების წლებში.

დიდი სამამულო ომის დროს ისეთ პიესებს, როგორიც არის „გიორგი სააკაძე" და „კრწანისის გმირები", დიდი წარმატება ჰქონდა სწორედ იმიტომ, რომ ისინი უცხოელ დამპყრობლებთან ქართველი ხალხის ბრძოლის თემაზე შექმნილ ქართული დრამატურგიის საუკეთესო ნაწარმოებებს განეკუთვნება.

ლირიკულ ლექსებს შორის სანდრო შანშიაშვილმა თავის დროზე დაწერა ოქტომბრის რევოლუციისადმი მიძღვნილი ჰიმნი, რომელიც გამოჩენილმა კომპოზიტორმა ზ. ფალიაშვილმა სიმფონია-კანტატად აქცია.

სანდრო შანშიაშვილის პოეზია უაღრესად პატრიოტულია. დიდი სამამულო ომის წლებში მან დაწერა პოემა „დედა", რომელიც ხმამაღლა ღაღადებს ცხოვრებაზე. ეს არის შთამბეჭდავი ამბავი — სადა, მართალი და პოეტურად დამაჯერებელი.

სანდრო შანშიაშვილის ლირიკაში თქვენ ადვილად დაინახავთ, რომ მთელი მისი პოეზია გამსჭვალულია ზეიმურობითა და სიცოცხლის სიყვარულით.

ალაზნის ველის ადრეულ სოფლის მოტივებში თანდათან იჭრება ახალი თემები. მომდევნო წლებში პოეტი სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს იმას, თუ როგორ იცვლება მშობლიური ქვეყანა, როგორ ჩნდება ახალი ხალხური ხასიათები, როგორ დაუდეგრად მიიწევს წინ ცხოვრება, მაგრამ ადამიანური გრძნობები იგივე სინათლისა და სითბოს წყაროდ რჩება, და ამას უმღერის მისი ლირიკა.

პოეტის მშობლიური კუთხე — კახეთი მდიდარია მიწის ბარაქით, მდიდარია ტალანტებით. ლამაზია მთაზე შეფენილი მისი სოფელი ჯუგაანი, სადაც დღემდე დგას სახლი, სადაც პოეტი დაიბადა.

და ამ სახლში, ერთ-ერთი ოთახის კედელზე გაკრულია დაფა, სადაც ლაპარაკია პოეტთა მეგობრობაზე. მრავალ ენაზე ნახავთ აქ წარწერებს. აქ ხელი მოუწერიათ ფადეევს და სამედ ვურღუნს, მიკოლა ბაჟანს და ოლეკო ნოვიცკის, მირძა კემპესა და როკპელნისს, ირაკლი ანდრონიკოვს, ნიკოლოზ ზაბოლოცკის და მრავალ სხვას. არის იქ ჩემი ხელმოწერაც...

ვფიქრობ, რომ მომავალშიც სხვადასხვა ხალხის პოეტები, რომლებიც ჯუგაანის ამ სახლს ეწვევიან, განაგრძობენ ამ მეგობრობისა და მშვიდობის ჩანაწერს.

რა კარგია კახეთი შემოდგომობით! რაღაც განსაკუთრებული ცხოველმყოფელობაა. რაღაც ახალი გრძნობა, რაღაც სიხარულის განცდას დაუსადგურებია ირგვლივ. რა სიხარულია ეს, რთვლის დამთავრებისა თუ ამქვეყნიური ყოფნის ნეტარებით აღსავსე გრძნობისა, მაგრამ ყველაფერი ისე სავსეა სიცოცხლითა და ძალით. შორეული სიმღერა ისე ისმის, თითქოს მთები და ვენახები მღერიან და სამყაროში კვლავ დაუსადგურებია სიჩუმეს



და რაღაც ნეტარების მხიარულ მოლოდინს!

ასეა პოეზიის იდუმალებაც. ეს იდუმალება მუდამ რაღაცას გპირდება და, მართლაც, მრავალი წლის მანძილზე შობს ახალ ნაწარმოებებს, მაგრამ ლექსთა უკანასკნელ იდუმალებას მაინც ვერასოდეს ვერ ამოვიცნობთ...

და ჩვენ მაინც მადლიერნი ვართ იმისათვის, რომაც ჩვენი გულის კარი შემოაღო, რაც გვასულდგმულებდა და რასაც ნიადაგ ვუბრუნდებოდით გაჭირვების ჟამს, რადგან ლექსები სხვადასხვაგვარად ცოცხლობენ. ხან ერთბაშად მოვარდებიან, ხან დუმან, მაგრამ თუ ლექსი გულიდან არის ამოხეთქილი, იგი უკვდავია, და ჩვენ მისი მადლიერნი ვართ!

ასე მადლიერნი ვართ დღეს ჩვენი უხუცესი პოეტისა, ოქროსწლებიანი კაცისა, ჩვენი ძვირფასი მეგობრის სანდრო შანშიაშვილისა იმისათვის, რომ ჩვენს მხარდამხარ მოდის ცხოვრების ახალი მწვერვალებისაკენ და ბოლომდე ინარჩუნებს პოეტისა და სიცოცხლის მოტრფიალის ძალას!

სურათზე: ნიკოლოზ ტიხონოვი მთაწმინდაზე (1966 წ.).

ვ. ზარიძის ფოტო.

### ვუბრუნდებით დაბეჭდილს

## „მიხაკისა და... ტყვიის" თაობაზე

თბილისის XXXVII საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე მთელი პრინციპულობით დაისვა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობის საკითხი... და თითქოს საგანგებოდ იყო საჭირო ამ პარტიული განაწესის რეალიზაციისათვის ადმინისტრაციული ორგანოებისა და ფართო საზოგადოებრიობის ემოციური დამუხტვა — მოხდა ავაზაკთა თავდასხმა ლენინგრადელ მსახიობებზე ქალაქის ცენტრში, რუსთაველის გამზირზე, სასტუმრო „ივერიის" წინ. ცხადია „რუსთაველი", „ივერია", „ლენინგრადი", „ხელოვნება", „სტუმარი" და სხვა ცნებები ავაზაკთათვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ავაზაკებიც არ იქნებოდნენ.

რაღა თქმა უნდა, ძალზე სამწუხაროა, რომ ასეთი ინციდენტი მოხდა. მაგრამ მთავარია ამ ფაქტში არა ის, რომ შემთხვევით თავდასხმის ობიექტად ამჯერად ჩვენი ძვირფასი სტუმრები და მეგობრები აღმოჩნდნენ, არამედ არსებითად ის, რომ ასეთი ფაქტები ხდება საერთოდ და დროდადრო ხშირდება კიდეც. ჩვენს საზოგადოებრიობას სწორედ ეს აღაშფოთებს უპირველეს ყოვლისა, და არა მარტო ეროვნული ღირსებისა და თავმოყვარეობის შებღალვის პრეცენდენტი. ტელევიზიის გადმოცემებში ერთ-ერთმა სტუდენტმა გოგონამ გამოთქვა მეტად დამაფიქრებელი აზრი: „ძალიან საინტერესოა ის ფაქტი, რომ, როცა კი მოინდომეს ჩვენმა მილიციელებმა—მაშინვე გახსნეს დანაშაულიო". ეს გულწრფელი აღიარება მეტად მრავლისმთქმელია. უპირველეს ყოვლისა აქ „იმალება" ეჭვი მილიციის მუშაკთა ერთი ნაწილის კეთილსინდისიერებაში. ეს ეჭვი აუცილებლად უნდა გაიფანტოს. ამისათვის საჭიროა არა მარტო ქება იმ ოპერატიული ჯგუფისა, რომელმაც გახსნა დანაშაული, არამედ მოსახლეობის ინფორმირება საერთოდ ადმინისტრაციული ორგანოების იმ საქმიანობის შესახებ, რომელიც მოქალაქეთა უფლებებისა და ღირსების დაცვას ემსახურება.

თბილისის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე ლაპარაკი იყო დამნაშავეობის ერთ-ერთ მთავარ წყაროზე — პარაზიტიზმზე და მასთან ბრძოლის აუცილებლობაზე. ქუჩაში შემთხვევით გამვლელთა გამოკითხვამაც კი ეს საკითხი მთელი სიმწვავით დააყენა. მილიციის უბნის რწმუნებულებმა არ შეიძლება არ იცოდნენ და აუცილებლადაც უნდა იცოდნენ, ვინ არის უსაქმური და პარაზიტი თავ-თავიანთ უბნებში. რამდენჯერ უნდა ითქვას ეს და რამდენნაირი კანონი უნდა იქნეს მიღებული ქალაქიდან უსაქმურების გასახლების შესახებ. რატომ არ სრულდება ეს კანონები და დადგენილებები? რა ძალა აქვთ ასეთ უსაქმურებს, რომ მილიციასა და სახელმწიფოს ეურჩებიან? ამ საკითხს უნდა მოეფინოს ნათელი უპირველეს ყოვლისა.

საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე ისიც ითქვა, თუ როგორ გახშირდა ავტომანქანების გატაცების შემთხვევები და ამასთან დაკავშირებული დამნაშავეობა. უკვე მერამდენე წელია, პრობლემად არის ქცეული ქალაქში მანქანის დაცვა-შენახვა (რომ არაფერი ვთქვათ მანქანების მოვლა-პატრონობის აუტანელ გაწამაწიაზე). რატომ არ შეიძლება ქალაქის ყოველ უბანში მოეწყოს ფასიანი ავტოსადგომები, ამის გაკეთებას ხომ არავითარი ფონდები და სახსრები არ სჭირდება. მხოლოდ მონდომება და დაინტერესებაა საჭირო. იქ, სადაც არ აღმოჩნდება ტერიტორია ასეთი სადგომებისათვის, პირდაპირ ქუჩაში შეიძლება მოეწყოს ფასიანი სადგომი, რომელსაც დარაჯი ეყოლება.

ყველა ეს საკითხი დაუყოვნებლივ უნდა მოგვარდეს. პრესამ და ტელევიზიამ კონტროლი უნდა დაუწესონ ამ საქმეს და არ უნდა მოასვენონ შესაბამისი ორგანიზაციები, სანამ არ შეასრულებენ მომხდარი სამარცხვინო ინციდენტით აღშფოთებული საზოგადოებრიობის მიერ დაყენებულ გონივრულ წინადადებებს.

ცალკე მსჯელობის საგანია გაზეთ „კომუნისტის" მიერ აღძრული დიდი თემა მოქალაქეობრივი გულგრილობის შესახებ. სავსებით კანონზომიერია, რომ იგივე თემა აღძრა გაზეთმა „პრავდამ" ამ დღეებში სპეციალური კორესპონდენტის ლ. პოჩივალოვის ნარკვევით „ვიღაც ხომ მოვალეა". საქმე ეხება გამვლელთა და მაყურებელთა გულგრილობას, როცა მათ თვალწინ დანაშაული ხდება. ეთიკური თვალსაზრისით გაცილებით უფრო დიდი ბოროტებაა მოქალაქეთა გულგრილობა დანაშაულისა და უკანონობის მიმართ, ვიდრე თვით დანაშაული და უკანონობა. რაც უნდა გამოფხიზლდნენ ჩვენი მილიციელები და გააქტიურდნენ საზოგადოებრივი რაზმელები, დამნაშავეობას ბოლო არ მოეღება, თუ მთელი საზოგადოებრიობა აქტიურად არ ჩაერევა და არ ამაღლდება ყოველი მოქალაქის ბრძოლისუნარიანობა.

ბევრ ჩვენგანს დაკარგული აქვს საკუთარი ძალების რწმენა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა. საჭიროა სწორედ ამ რწმენის აღდგენა და ამ გრძნობის გაღვიძება. მრავალი რამ არის ამისათვის საჭირო, მაგრამ უწინარეს ყოვლისა კანონიერებისა და წესრიგის, ორგანიზებულობისა და დისციპლინის განმტკიცებაა საჭირო ყველგან და ყველაფერში. სახელოვანი სამეურნეო-ეკონომიკური წარმატებები, რომლებიც რესპუბლიკამ მოიპოვა ამ ბოლო წლებში და რომელთა მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი გახდა პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის გამოცოცხლება, უნდა დაგვირგვინდეს მთელი საზოგადოებრიობის მორალურ-კულტურული გაჯანსაღებისა და მებრძოლი პატრიოტულ-ინტერნაციონალური სულისკვეთების გაძლიერებით. უამისოდ კულტურული პროგრესის გარეშე ეკონომიკურ პროგრესს ეკარგება ჭეშმარიტი აზრი და დანიშნულება. მეტი და უკეთესი საგნობრივი ღირებულებები იმიტომ გვინდა, რომ ჩვენ თვითონ ჩვენ გავხდეთ უკეთესები და უფრო მეტი უმაღლესი ღირებულების შემქმნელ-მატარებლები.

ადამიანის პატივისცემა და დაფასება, მისი ღირსებისა და თავმოყვარეობის ხელშეუხებლობა ჩვენი კონსტიტუციის, იდეოლოგიისა და მორალის ამოსავალი წმინდათაწმინდა მოთხოვნებია. ეს მოთხოვნები წაეყენება არა მარტო სახელმწიფოსა და მის ორგანოებს, არამედ ყოველ მოქალაქეს, ყოველ ჩვენგანს, ყოველ „გამვლელს" და „მაყურებელს". როდისღა უნდა განვახორციელოთ საზოგადოების წევრობის და მოქალაქეობის ეს ელემენტარული მოთხოვნა, თუ არა მაშინ, როცა ადამიანს ჩვენ თვალწინ ამცირებენ, ძარცვავენ, კლავენ...

გაზეთ „პრავდის" კორესპონდენცია იმ მხრივაც საინტერესოა, თუ რა შთამაგონებელი ძალა აქვს დადებითს მაგალითს, რიგითი და უცნობი სახელოვანი მოქალაქის გმირობას ბოროტების აღკვეთის საქმეში. პრესამ და ტელევიზიამ უფრო ხშირად, სისტემატურად უნდა გააცნონ საზოგადოებას ასეთი მაღალი მოქალაქეობის ფაქტები, გულგრილობის ბარიერის მსხვრევისა და ადამიანთა აქტიურობის, ბრძოლისა და გმირობის მაგალითები, ისევე როგორც გულგრილობისა და სამარცხვინო პასიურობის შემთხვევები. მოქალაქეთა არც ერთი კეთილშობილური გამოქომაგებისა, რისკისა და თავგანწირვის შემთხვევა არ უნდა დარჩეს გაუმჟღავნებელი და პატივმიუგებელი. ეს აუცილებელი საშუალებაა, სანამ აქტიური სოლიდარობა და თანაგრძნობა მასობრივი არ გახდება.

ჩვენ ხშირად ვაქვეყნებთ და გადმოვცემთ ინფორმაციებს იმათ შესახებ, ვინც თავი გამოიჩინა შრომაში, სწავლაში, შემოქმედებაში. ეს ძალიან კარგია. მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმის ჩვენებას, თუ ვინ გამოიჩინა თავი უცნობი ადამიანისათვის დახმარებაში, დაცვაში, პატივისცემაში, ბოროტებასთან ბრძოლაში და სიკეთის ქმედებაში. მორალური მოღვაწეობა და შემოქმედება კიდევ უფრო მაღალი ღირებულებაა, ვიდრე შრომითი, მეცნიერული და მხატვრული შემოქმედება. ადამიანობა არ წარმოიდგინება ასეთი მორალური შემოქმედების გარეშე.

ეთიკის თეორია და მეცნიერება ასეთი მორალური შემოქმედების გრამატიკაა და იგი ისევე უნდა ისწავლებოდეს ყველგან, როგორც მეტყველებისა და აზროვნების გრამატიკა.

პროფესორი
ბელა ბანძელაძე.

## დაისაჯნენ სამსახურებრივი დაუდევრობისათვის

აი, რა აცნობა რედაქციას საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა, შინაგანი სამსახურის გენერალ-ლეიტენანტმა კ. კეთილაძემ.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიამ საგანგებო სხდომაზე განიხილა 28 იანვარს თბილისში მომხდარი აღმაშფოთებელი ფაქტი და აღნიშნა, რომ დანაშაულის ჩადენა ძირითადად განაპირობა კალინინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების ღამის მილიციის მუშაობის ორგანიზაციაში არსებულმა ნაკლოვანებებმა. საპატრულო ჯგუფების სამუშაოზე გასვლისას მილიციელების ინსტრუქტაჟი ტარდება ფორმალურად და არ გამომდინარეობს შექმნილი ოპერატიული ვითარებიდან, რის გამოც გუშაგები არ იყვნენ მობილიზებული ფხიზელი და ყურადღებიანი მორიგეობისათვის. იმ დღეს სამუშაოზე არ გამოცხადდა სამი მილიციელი, რის გამოც საპატრულო მარშრუტები გაერთიანდა, რამაც გამოიწვია ის, რომ საპატრულო მარშრუტი რუსთაველის პროსპექტი — სასტუმრო „ივერია" ხრ იყო ჯადახურული მილიციელთა განწესით. თერთმეტი მილიციელიდან ექვსი არ იყო შეიარაღებული, ვინაიდან არ ჰქონდათ გავლილი პირველადი მოსამზადებელი კურსები, ხოლო ხუთი მილიციელი სამსახურს ასრულებდა სამოქალაქო ტანსაცმლით. რადიოკავშირი გუშაგებსა და შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების სამორიგეო განაყოფს შორის არ მოქმედებდა. ცოცხალი ძალის და ტრანსპორტის რეზერვი აუცილებელი პირადი შემადგენლობის მანევრირებისათვის არ იყო შექმნილი.

ზემოთ მოყვანილი უწესრიგობა შესაძლებელი გახდა იმის შედეგად, რომ ღამის მილიციის მუშაობის ორგანიზაციას ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ როგორც ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველო, ისე კალინინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების და ამავე რაიონის არასაუწყებო დაცვის განყოფილების ხელმძღვანელები. სერიოზულად გააკრიტიკეს ქალაქის არასაუწყებო დაცვის განყოფილების (უფროსი — მილიციის კაპიტანი ზ. ოქროპირიძე) მუშაობაც. ანალოგიური დარღვევები არის ქალაქის სხვა რაიონების ქვეგანაყოფთა მუშაობაშიც, რადგან შექმნილი ვითარება არ შეიძლება იყოს ერთი დღის შეცდომების შედეგი, ხოლო ქალაქის განყოფილების ხელმძღვანელობა არ მიმართავს გადამწყვეტ ღონისძიებებს ღამის მილიციის მუშაობის საქმიანი და ეფექტიანი ორგანიზაციისათვის.

სერიოზული პრეტენზიები გამოითქვა ქალაქის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილის, მილიციის პოდპოლკოვნიკის გ. შონიას მისამართით, რომელიც კურირებას უწევს ღამის მილიციის სამსახურს და ფაქტიურად ჩამოსცილდა კონკრეტულ და საქმიან ხელმძღვანელობას, რის შედეგადაც არ ხორციელდება სათანადო კონტროლი საგუშაგო-საპატრულო და ღამის მილიციის სამსახურისადმი და არ იგრძნობა რაიგანყოფილებების ხელმძღვანელთაგან სათანადო მომთხოვნელობა. გ. შონია ცუდად ხელმძღვანელობს სხვა სამსახურებსაც, კერძოდ გამოძიების და სპეკულაციასთან და სახელმწიფო ქონების დატაცებასთან მებრძოლი განყოფილებების მუშაობას, რომელთა ზოგიერთმა მუშაკმა დაკარგა ავტორიტეტი დედაქალაქის მშრომელებში.

კოლეგიამ გადაწყვიტა აღძრას შუამდგომლობა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წინაშე გ. შონიას თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე. აღინიშნა, რომ კალინინის რაიონის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსი ჯ. ხაჟალია იმსახურებს თანამდებობიდან გათავისუფლებას, მაგრამ მიღებულ იქნა მხედველობაში მისი უშუალო მონაწილეობა დანაშაულის გახსნაში და გამოეცხადა არასრული სამსახურებრივი შეუფერებლობა.

სასტიკად იქნა გაფრთხილებული არასაუწყებო დაცვის რესპუბლიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე მილიციის პოლკოვნიკი დ. ელიაზარაშვილი. ამავე სამმართველოს განყოფილების უფროსის მოადგილე მილიციის პოდპოლკოვნიკი ვ. რაზმაძე გათავისუფლებულია შინაგან საქმეთა ორგანოებიდან. კალინინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილე მილიციის მაიორი გ. მექვაბიშვილი, რომელიც კურირებას უწევდა ღამის მილიციის მუშაობას, მოხსნილია თანამდებობიდან. ქალაქის არასაუწყებო დაცვის უფროსს, მილიციის კაპიტან ზ. ოქროპირიძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური. ასეთივე სასჯელი დაედო კალინინის რაიონის არასაუწყებო დაცვის განყოფილების უფროს ინსპექტორს, მილიციის უფროს ლეიტენანტს დ. ქოქოშვილს. თანამდებობიდან მოხსნილია და შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნილია კალინინის რაიმილიციის ლეიტენანტი ვ. ჰეჟია.

კალინინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილის მილიციის კაპიტან თ. ბაბაშვილის, ამავე განყოფილების მილიციის მაიორ ბ. გაბარაევის და კალინინის რაიონის არასაუწყებო დაცვის განყოფილების უფროსის მილიციის მაიორ ა. სოზონის პასუხისმგებლობის საკითხი კოლეგიამ მათი არყოფნის გამო ცალკე გამოყო და დამატებით განიხილავს მათი სამუშაოზე გამოსვლის შემდეგ.

მიღებულია გადაწყვეტილება კომპლექსურად შემოწმდეს ქ. თბილისის გარნიზონის ღამის მილიციის მუშაობა და განხილულ იქნეს შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე.

# კომუნისტი საკვირაო საკითხავი

- ნონა გაფრინდაშვილის ინტერვიუ
- ზოგი რამ საგვარეულო გადმოცემებზე
- პოეტური რუბრიკა
- ცნობები, ამბები, შთაბეჭდილებები

## ჩაი იაპონიისათვის

200 ტონა ქართული ჩაი — ასეთი შეკვეთა მიიღო გაერთიანება „საქართველოს ჩაიმ“ იაპონიიდან. ეს არის ჩაის პირველი დიდი პარტია ქვეყნისათვის, სადაც მის წარმოებას მდიდარი და დიდი ხნის დროინდელი ტრადიციები აქვს. ასეთი შეკვეთა იმის შედეგია, რომ საქართველოს ეწვივნენ იაპონიის ფირმების „მაიეკავა-ტრეიდინგის“ და „ეივა-ტრეიდინგის“ სპეციალისტები. ფირმები ბევრ ქვეყანაში ჰყიდიან ჩაის. მათ მაღალი შეფასება მისცეს ქართული ჩაის გემოვან, ვიტამინიან და სამკურნალო თვისებებს.

შემოქმედის ფაბრიკაში დაიწყო იაპონური რეცეპტურით სეიჩას წარმოება. ქართველმა სპეციალისტებმა მექანიზებული გახადეს მისი დამზადების პროცესი, რომელიც შრომატევადობით გამოირჩეოდა. წელს გაერთიანება გამოუშვებს 500 ტონა სეი-ჩას.

უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე საქართველო საერთაშორისო ბაზარზე ჩაის დიდი მიმწოდებელი გახდა. მუდმივ მყიდველთა შორისაა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ყველა წევრი ქვეყანა, ინგლისი, ნიდერლანდები, ბელგია. ქართველი სპეციალისტები ქმნიან ახალი სახეობის ჩაის პროდუქციას, აგრეთვე თანამედროვე წარმოების პირობებში აღადგენენ მისი დამზადების უძველეს წესებს. ეს არის ყვითელი ჩაი, რომელიც ცნობილი იყო ძველ ჩინეთში, ხსნადი ჩაის ფხვნილი, ალბათ ჩაი აბებად.

## შოტლანდიური პოეზიის კრებული

35 შოტლანდიელი პოეტის ლექსები აჟღერდა ქართულ ენაზე. ისინი შეტანილია შოტლანდიური პოეზიის კრებულში, რომელსაც უშვებს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. წიგნის შემდგენელია პოეტი თამარ ერისთავი.

— ქართველი მკითხველები პირველად როდი ეცნობიან შოტლანდიურ პოეზიას, — თქვა თ. ერისთავმა. — მაგალითად, რობერტ ბერნსის ლექსების კრებული უკანასკნელ წლებში ორჯერ გამოიცა.

მ. ლებანიძემ, თ. ერისთავმა, ც. გამყრელიძემ, მ. ხელაშვილმა და სხვებმა თარგმნეს ჯონ ბარბერის, უილიამ დანბარის, ჯეიმს მაკფერსონის, ვალტერ სკოტის, რობერტ ლუი სტივენსონის, გეი მაკდაიარმიდისა და სხვების ლექსები.

## „თქვენი გამოცდილება სასარგებლოა“

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში „დაისის“ დადგმის მაღალმა პროფესიულმა დონემ გაგვახარა, მაგრამ არ გაგვაკვირვა, რადგან დიდი ხანია საუკეთესო აზრი გვაქვს ქართველ ვოკალისტთა და ქორეოგრაფთა საშემსრულებლო ოსტატობაზე, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, კუბის რესპუბლიკის კულტურის მინისტრმა არმანდო ხარტ დავალოსმა. იგი მეთაურობდა კუბის კულტურის მოღვაწეთა დელეგაციას, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა სსრ კავშირში კუბის რესპუბლიკის დღეებთან დაკავშირებით.

ყურადღება მიიპყრო აუდიტორიამ, აღნიშნა არმანდო ხარტ დავალოსმა, — რომელიც ცხოველ ინტერესს იჩენდა ყოველივე იმისადმი, რაც სცენაზე ხდებოდა. საქართველოში ხანმოკლე ვიზიტის მიუხედავად, დავრწმუნდით, რომ აქ დიდ პატივს სცემენ ყველა ჟანრის მუსიკას.

როგორც შევიტყვეთ, თქვა შემდეგ მინისტრმა, თქვენს რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება მხატვრული თვითმოქმედების განვითარების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების კადრების მომზადებისათვის. საერთოდ უნდა აღვნიშნო: საქართველოს სს რესპუბლიკის წარმატებანი კულტურულ მშენებლობაში შთამაგონებელია. თქვენი გამოცდილება ამ დარგში ძალიან სასარგებლოა ჩვენთვის.

**საქართველო მსოფლიოს ორბიტაზე**

ჩეხოსლოვაკია:

## სამთო საქმეში მხარდამხარ

ჩეხოსლოვაკიის სპილენძის მადნის პოლიმეტალების საბადო „ტისოვაში“ დაინერგა გამონამუშევრების გარშემო მთის მასივის დაძაბულობის რაოდენობრივი მაჩვენებლების განსაზღვრის მეთოდი, რომელიც შეიმუშავეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამთო მექანიკის ინსტიტუტის მეცნიერებმა.

საქართველოს სამთო-მომპოვებელ მრეწველობაში ექსპერიმენტის სახით გამოყენებულია ჩეხოსლოვაკიელი მეცნიერის, დოქტორ ი. შიმანეს სისტემის სეისმოაკუსტიკური აპარატურა. იგი ხელს უწყობს გამონამუშევრის გარშემო მთის ქანების ზღვრული მდგომარეობის განსაზღვრას, მიწისქვეშა სამუშაოთა უსაფრთხოების გადიდებას.

წლების მანძილზე ქართველი მეცნიერები აქტიურად თანამშრომლობენ ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის სამთო განყოფილების ინსტიტუტის მუშაკებთან. ისინი მუშაობენ საქართველოსა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერთა მიერ შემუშავებული აპარატურის სრულყოფაზე, რომელიც გამოყენებულია სამთამადნო საწარმოებში.

ბულგარეთი:

## ეპატიჟებიან ლექტორს

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში უნდა გაემგზავროს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი ა. ქორიძე, რომელიც იქ წაიკითხავს ლექციების ციკლს თემაზე „სსრ კავშირში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებანი და მეცნიერების როლის ამაღლება კომუნისტურ მშენებლობაში“.

საქართველოში ჩამოვიდა კირკოვის სახელობის საზოგადოების ლექტორი, სოფიელი პროფესორი ს. ხრისტოვი. მან თბილისში წაიკითხა მოხსენება თემაზე „ბულგარეთში საბაგირო გზების მდგომარეობა და მათი გამოყენების პერსპექტივები“.

## მოგზაურის შთაბეჭდილებები

ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების საერთო-სახალხო კომიტეტის ორგანომ, ყოველწლიურმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ჟურნალმა „დრუჟბამ“, რომელიც სოფიაში გამოდის, გამოაქვეყნა სტატია „შეხვედრები საქართველოში“. სტატიის ავტორი — ამ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ მანევი მკითხველებს უზიარებს ჩვენს რესპუბლიკაში მოგზაურობით მიღებულ შთაბეჭდილებებს.

მ. მანევი თავის საუბარს ასურათებს მონაცემებით საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების შესახებ. იგი იგონებს, თუ რა გულითადად შეხვდნენ აქ მრავალი წლის წინათ ბულგარელი ხალხის სასახელო შვილს გიორგი დიმიტროვს. საქართველოში მისმა ჩასვლამ, ხაზს უსვამს ავტორი, დიდი როლი შეასრულა ბულგარელი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის განვითარებაში.

გდრ:

## „თოვლი და მზე გარანტირებულია“

ამ სათაურით ჟურნალ „ნოიე ბერლინერ ილუსტრირტეს“ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) კორესპონდენტმა ჰანს კრუმბჰოლცმა დაბეჭდა რეპორტაჟი ბაკურიანის შესახებ. იგი აღწერს ბაკურიანის თვალწარმტაც ბუნებას, კლიმატს, გვესაუბრება იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებმაც „ეს შესანიშნავი მთიანი მხარე“ სსრ კავშირის ზამთრის სპორტისა და ტურიზმის ერთ-ერთ უდიდეს ცენტრად გადააქცია“. (საქინფორმი).

**მსოფლიო საქართველოს ორბიტაზე**

როგორც მკითხველისათვის ცნობილია, ნონა გაფრინდაშვილი და ნანა იოსელიანი ამ დღეებში დაბრუნდნენ უცხოეთიდან, სადაც მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ტურნირებში. გუშინ ისინი „კომუნისტის“ კოლექტივს შეხვდნენ. ნანა იოსელიანის წარმატების შესახებ გაზეთმა უკვე აუწყა მკითხველს. გთავაზობთ ინტერვიუს ნონა გაფრინდაშვილთან.



# ვაჟი დიდოსტატის რანგში პირველად

ეს იყო პირველი შეჯიბრება, რომელშიც ნონა გაფრინდაშვილი ვაჟი დიდოსტატის წოდებით გამოვიდა. ჯერ მსოფლიოში არც ერთ მოჭადრაკე ქალს არ ჰხვედრია პატივი პერსონალურად მიეწვიათ დიდოსტატთა ისეთ წარმომადგენლობით ტურნირში, როგორიც ახლახან ვეიკ-ან-ზეეში გაიმართა. არ შეიძლება არ გაგახსენდეს მიხეილ ბოტვინიკის სიტყვები: „საქართველო ერთადერთი რესპუბლიკაა საბჭოთა კავშირში, მთელ მსოფლიოშიც კი, სადაც ჩნდება, იბადება ამდენი მოჭადრაკე ქალი“.

ნონა გაფრინდაშვილთან ინტერვიუს „შორიდან“ ვერ დაიწყებ, მის შესახებ ჭადრაკის ქომაგებმა ყველაფერი იციან.

**— ქალბატონო ნონა „კომუნისტის“ მკითხველთა სახელით გვინდა მოგილოცოთ „ოქროს თასისა“ და „ბროლის პაიკის“ მიღება...**

— გმადლობთ... ტურნირში თამაშობდნენ მხოლოდ ის დიდოსტატები, რომელთაც რეიტინგით საშუალო კოეფიციენტი 2548 აქვთ. გამოცდილმა დიდოსტატმა ვაჟებმა შედარებით მშვიდი, გაურთულებელი თამაშის სტრატეგიასა და ტაქტიკას მიმართეს. თვით პოლუგაევსკიც კი საკმაოდ ფრთხილად იბრძოდა. რა თქმა უნდა, ეს განპირობებული იყო ტურნირის ერთობ მოკლე დისტანციით, და იმითაც,





რომ პარტიის თამაშისა და გადადებულის დასამთავრებლად რეგლამენტით მხოლოდ 1 დღე იყო გამოყოფილი. ამიტომ, როგორც კი მოჭადრაკეები მწვავე პარტიას „დაყნოსავდნენ“, უმალვე ყაიმის გზების ძებნას იწყებდნენ. ალბათ ამის შედეგი იყო, რომ ინგლისელ მაილსს, რომელიც მაინცდამაინც მოწოდების სიმაღლეზე ვერ იდგა, ოთხ თითქმის უიმედო პარტიაში გაუმართლა. უფრო მეტიც, მან, სხვა მოჭადრაკეებთან ერთად, მეორე ადგილის განაწილება შეძლო. ტურნირის მონაწილეთაგან თითქმის ყველა მოჭადრაკემ 3-4 პარტია სულ რაღაც ნახევარ საათში დაამთავრა: მე, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ ვისწავლე ყაიმზე თამაში. ამიტომ იყო, რომ ყველა პარტია ბოლომდე მიმყავდა და მისთვის განკუთვნილ ხუთ საათს სრულად ვიყენებდი. მართალია, ასეთმა ტაქტიკამ მოკრძალებული შედეგი — 3,5 ქულის მეტი არ მარგუნა, მაგრამ საკუთარი ძალების ასეთი გზით შემოწმებამ უთუოდ დიდი სამსახური გამიწია. რეიტინგით თუ ვიმსჯელებთ, ჩემს კოეფიციენტთა რიცხვს ერთი ქულაც არ დაჰკლებია.

ცხადია, უკეთესი შედეგის მოპოვება შემეძლო. ჰორტთან და ტიმანთან -რომ იტყვიან, მაგრად ვიდექი, უკეთესი პოზიციები მქონდა, მაგრამ საწადელს ვერ მივაღწიე. მაილსთან აბსოლუტურად მოსაგებ პოზიციაში ყაიმს დავსჯერდი. უკეთ უნდა მეთამაშა კუბელ გარსიასთანაც. თანაც, შავი ფიგურებით თამაში მომიწია სწორედ მათთან, ვინც კოეფიციენტთა ცხრილით ჩემზე მაღლა იდგა.

**— სასიამოვნო მომენტებიც გაიხსენეთ.**

— ტურნირის მონაწილეთა, სპეციალისტთა და ორგანიზატორთა საერთო აღიარებით ნიკოლაცთან და ჯინჯიხაშვილთან პარტიები საუკეთესოდ მიიჩნიეს და „ბროლის პაიკი“ რომ მივიღე, სწორედ მათთან გამარჯვების საზღაურია. პრიზის ზუსტი სახელწოდება ასეთია: „სანახაობრივად ყველაზე მიმზიდველი პარტიისათვის“. წარმომადგენლობით ჟიურის წევრებს არ ნდომებიათ მისი ჩემთვის გადმოცემა, მაგრამ როგორც შემდეგ გავიგე, სპეციალისტებმა თავისი გაიტანეს. ისიც მითხრეს, როგორ დაასაბუთეს თავიანთი მოსაზრება: მეფის ისეთი ღრმა რეიდი, როგორსაც ადგილი ჰქონდა ჯინჯიხაშვილთან პარტიაში, ჯერ არც ერთ ქალს არ განუხორციელებიაო.

**— თქვენ ჰოლანდიაში კიდევ ერთი ჯილდო მიიღეთ...**

— 1974 წელს დაწესდა ოქროს თასი იმ მოჭადრაკე ქალისათვის, ვინც ზედიზედ სამჯერ მოიპოვებდა მსოფლიო ჩემპიონის წოდებას, მაგრამ ყველას გამორჩა ერთი „ნიუანსი“— იმ დროისათვის მე უკვე ოთხგზის ჩემპიონი გახლდით. შეცდომა მაშინვე გამოასწორეს და ფიდეში შეიტანეს წინადადება — მეხუთედაც თუ მოვიპოვებდი ჩემპიონის წოდებას, თასი სამუდამოდ გადმომეცემოდა. ჯერ კიდევ ნიცაში მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის დროს, ოქროს თასის მოწონებული ესკიზი მაჩვენეს, შემდეგ კი იგი იტალიელ ოქრომჭედლებს შეუკვეთეს. თასის დამზადების ხარჯები გაიღო ფიდეს ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა წევრმა, ამ ჯილდოს დამწესებელმა ბატონმა ცაპლერმა. თასი ჩემთვის ახლახან არგენტინაში გამართულ მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე უნდა გადმოეცათ, მაგრამ ცაპლერი ხანდაზმულობის გამო შორეულ გზას ვერ დაადგა და მან ჰოლანდიაში, ტურნირის დაწყების წინ საზეიმო ვითარებაში გადმომცა.

**— თასი მართლაც დიდებულია. კიდევ რა შთაბეჭდილებები ჩამოგყვათ?**

— მეათე ტურში თამაშის დროს ტიმანს აცნობეს, რომ ჰოლანდიის მოსახლეობას ერთი ქალიშვილი შემატა და მისი მამა ტიმანი არისო. ჰოლანდიაში ამ უპოპულარესი მოჭადრაკის ბედნიერი დღე ტურის დამთავრებისთანავე ზარ-ზეიმით აღინიშნა. საერთოდ, ჰოლანდიაში ტიმანზე დიდ იმედებს ამყარებენ, სჯერათ, რომ იგი თვით კარპოვს შეეცილება. ჰოლანდიაში შეიქმნა ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის ციკლური შეჯიბრებებისათვის ტიმანის მზადების სპეციალური კომიტეტი. მას ხუთი მწვრთნელი ეყოლება და მათ შორის შვედი ანდერსონი.

**— კი მაგრამ, ანდერსონი ხომ თავად იბრძოლებს საზონათაშორისო ტურნირში?**

— ანდერსონი რაღაც განსაკუთრებული, თავისებური კაცია. მას ძალიან უყვარს ჭადრაკი, მაგრამ, როგორც თავად ამბობს, უყვარს სიამოვნებისათვის. იგი ჭადრაკის თამაშში, მის სილამაზეში უფრო მეტს ხედავს, ვიდრე ჩემპიონის ტიტულში.

**— ახლა დასვენებას აპირებთ?**

— დასვენების ჯერი არ დამდგარა. წინ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაა და, ცხადია, მეც დავიცავ რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას. მანამდე კი, ალბათ, ორ ტურნირში მივიღებ მონაწილეობას — სსრ კავშირის არმიელ ვაჟთა გუნდურ და პოლონეთის საერთაშორისო ქალთა ტურნირებში. მივიღე მოწვევა სარაევოს ვაჟთა ტურნირში მონაწილეობის თაობაზე.

**— თქვენი ჰოლანდიაში ყოფნისას ნანა იოსელიანი იუგოსლავიაში გოგონათა შორის ევროპის თასისათვის გამართულ ტურნირში მონაწილეობდა. თუ იცოდით რაიმე მისი წარმატების შესახებ?**

— დიდხანს მის შესახებ ინფორმაცია არ მქონდა, ბოლოს კი იუგოსლავიაში მყოფი ვან დერ მიე (ნიკოლაუ) ჰოლანდიას ტელეფონით დაუკავშირდა და ნანას საბოლოო გამარჯვება გვაუწყა. ძალიან გავიხარე, თანაც ჩვენს შორის რაღაც საერთოც აღმოჩნდა. მეც ხომ თავის დროზე ორჯერ მოვიპოვე ევროპის თასი, ოღონდ მოზრდილებში, ახლა კი ჩემმა თანამემამულემ გოგონათა შორის მეორედ მიაღწია მიზანს. ნანა საზონათაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას და ახლანდელმა გამარჯვებამ მას ახალი ძალები უნდა შემატოს. ვულოცავ ჩემს უმცროს მეგობარს...

ინტერვიუ დამთავრდა და კიდევ ერთხელ დავიჯერეთ, რომ ნონას კვლავ შეუდრეკელი რწმენა აქვს თავისი ძალისა.

**ჯ. ენუქიძე.**

* * *

**სურათებზე: ზემოთ — სტუმრად რედაქციაში; მარცხნივ — პრიზები: „ბროლის პაიკი“ და „ოქროს თასი“.**

ვ. ზარიძის ფოტო.

## „ბროლის პაიკის“ პარტია

გაფრინდაშვილი — ჯინჯიხაშვილი

(ნ. გაფრინდაშვილის კომენტარით)

1. e4 c5 2. მf3 d6 3. კb5+ მc6 4. 0-0 კd7 5. ეe1 მf6 6. c3 a6 7. კ:c6 კ:c6 8. d4!? გათამაშდა სიცილიური დაცვის შედარებით იშვიათი ვარიანტი. თეთრები ფიგურების უკეთ განვითარებისათვის წირავენ პაიკს. ეს იდეა შედარებით ახალია და სულ რამდენიმე პარტიაში გვხვდება. 8... კ:e4 9. კg5 d5?! უფრო საინტერესო თამაშს იძლევა (შავების 9... კd5!?) 10. მbd2 კg6? (ალბათ შედარებით უკეთესია 10... კ:f3, როგორც მიხეილ ტალმა ითამაშა თბილისელ თამაზ გიორგაძესთან ამას წინათ თბილისში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში, თუმცა მისი პოზიცია მაინც უარესი დარჩა). 11. dc e6 12. ლa4+! (მეტად ძლიერი სვლაა, რის შედეგადაც თეთრები იგებენ მეტად საჭირო ტემპს, მაგრდებიან d4 უჯრაზე და ლაზიერის ფრთაზე ღებულობენ პაიკების ძლიერ წყობას, რაც თეთრების პოზიციის უპირატესობას უსვამს ხაზს), 12. + ლd7 13. ლd4 ეc8 14. b4 კe7 15. a4 0-0 16. მc4! dc (თეთრები იმუქრებოდნენ მხედრებით b6 და e5 უჯრების დაპყრობას, ამიტომ შავები იძულებული არიან დათანხმდნენ უარეს დაბოლოებაში გადასვლას). 17. ლ:d7 მ:d7 18. კ:e7 ეe8 19. კd6 b6 20. მe5! მ:e5 (მართალია, ჩვეულებრივ სხვადასხვა ფერის კუთა დაბოლოება ყაიმის დიდ შესაძლებლობას იძლევა, მაგრამ ამ შემთხვევაში შავების პოზიცია მაინც მძიმე რჩება). 21. ე:e5 bc 22. bc კc2 (შავებს სურთ კუს გადაყვანა b3 უჯრაზე, რათა ხელი შეუშალონ თეთრების ეტლის შესვლას b ხაზზე და b6 უჯრაზე გაბატონებას, თუმცა ამ შემთხვევაში შავების კუ თამაშიდან გამოთიშული რჩება). 23. ეe2 კb3 24. f4 f6 25. მფf2 მფf7 26. მფe3 e5 27. f5 g6 28. მფe4 gf+ 29. მფd5! (თეთრები წირავენ პაიკს d5 პუნქტის გამო, რათა მეფის დახმარებით c6 პაიკი ძალად იქცეს). 29. f4, 30. c6 ეg8 (შავები ცდილობენ კონტრთამაშის შექმნას მეფის ფრთაზე, მაგრამ ეს საკმარისი არ არის პარტიის გადარჩენისთვის) 31. c7 h5 32. მფc6 მფe6 33. კc5 h4 34. მფb7 h3 35. gh f3 36. ეd2 e4 37. ეe1 f5 38. ეd6+ მფe5 39. ე:a6 კc2 40. კd4+ მფd5 41. ეf6 ამ პოზიციაში პარტია გადაიდო, მაგრამ თამაშის განუახლებლად შავებმა თავი დამარცხებულად ცნეს.

# ვისი გორისა ხარ?

## ჩვენ და ჩვენი გვარი

კასპის რაიონში, თრიალეთის ქედის ძირას, მდებარეობს სოფელი თელათგორი, რომლის მცხოვრებთა უმრავლესობა გვარად მუხიგულაშვილები არიან. აქ, ხუთიოდე წლის წინათ, მუხიგულაშვილებს მათივე მიწვევით ახალციხის რაიონის სოფელ მუსხის მკვიდრნი, ჟუჟუნაძეები ესტუმრნენ.

ამ შემთხვევას ის ზეპირი ისტორიული გადმოცემა დაედო საფუძვლად, რომელიც თაობებში ცოცხლობს: დაახლოებით 200 წლის წინათ მუსხელ ჟუჟუნაძეთაგან სამი ძმა ქართლში გადმოსახლებულა და თელათგორში დამკვიდრებულა. ახალმოსახლეთა მეთაურის, უფროსი ძმის გიორგისათვის თავისი ამტანობის, სიმაგრისა და გამძლეობისათვის აქ ზედმეტ სახელად მუხიგულა (მუხისგულა) შეურქმევიათ, რაც ახალ საგვაროვნო სახელადაც უქცევიათ.

ცნობილია, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოს მნიშვნელოვანი ისტორიული მხარე მესხეთი (იგივე სამცხე-საათაბაგო) თურქეთის ბატონობის ქვეშ მოექცა (XVI ს.), იქიდან მასობრივად აიყარნენ მკვიდრი მოსახლენი და იმერეთ-გურიას, ქართლ-კახეთსა თუ სხვა კუთხეებს შეაფარეს თავი. ეს მოვლენა გვარსახელებშიც ნათლად აისახა. იძულებით დატოვებული მშობლიურ ადგილთა სახელები, სახელდობრ: გოკია, დგვარი, თორი, თუხარისი, ვარძია, კეხხობი (ანუ კეცხოვი, კეცხოთუბანი), მურჯიკანი, მუსხი, ოცხე, ფანასკერტი, ჯაყი და სხვა გადასახლებულთა შეცვლილ გვარებში ჩაექსოვა და შესაბამისად შეიქმნა გოკიელი, დგვარელი, თორელი, თუხარელი, ვარძიელი, კეცხოველი, მურჯიკნელი, მუსხელიშვილი, ოცხელი, ფანასკერტელი (ციციშვილების ძველი გვარი), ჯაყელი...

ამ გვარების მატარებელთა შორის ზოგის მახსოვრობაში კიდევ შემონახულა მათი უძველესი მკვიდრი გვარი: მურჯიკნელთა — ბაბლიძე, ოცხელთა — მანანაშვილი, ფანასკერტელ-ციციშვილთა — ასპანიძე და ა. შ.

წყაროებით დადასტურებულია აგრეთვე, რომ მესხეთიდან არიან წამოსულნი აბაშიძე, ავალიშვილი, გოგებაშვილი, გოგორიშვილი, ზედგენიძე, თაქთაქიშვილი, მაღრაძე, მეფისაშვილი, ხეჩხეულიძე, ჯავახიშვილი და მრავალი სხვ.

საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს მთიანეთიდან ბარში ჩამოდიოდნენ და სახლდებოდნენ მთელი საგვარეულონი; განსაკუთრებით მაშინ, როცა მტერთა გამანადგურებელი თარეშის შედეგად აქ გაუკაცრიელებული ან მოსახლეობისაგან შეთხელებული სოფლები რჩებოდა. ამას გვიმოწმებენ გვარსახელები: ანატორელი, ხანდუკელი, ლიქოკელი, კორშელი, მათურელი, ხორხელი...

განსახლების ერთ-ერთ მიზეზად ბატონყმური წყობილებაც უნდა ჩაითვალოს. მკაცრი ფეოდალური ექსპლოატაციით შევიწროებულ ყმაგლეხთაგან ბევრი ოჯახიანად იყრებოდა და შელავათის ძიებაში სხვაგან იხიზნებოდა. ახალ ადგილებში შეხიზნულნი, იძულებით კარგავდნენ მამაპაპეულ გვარებსა და სახელებს და ახალი, გაურკვეველი სემანტიკის სახელებით ინიღბებოდნენ.

საუკუნეთა განმავლობაში შექმნილი ქართული გვარების მდიდარი ფონდი ჩვენი დედაენის ლექსიკური შემადგენლობის ორგანული ნაწილია, რომელშიც ნათლად არის ასახული ერის ცხოვრების ნიშანკვალი, რამდენადაც ყოველი ცალკეული საგვარეულო კოლექტივის თავგადასავალი ენის მთლიანი ისტორიის შენაკადია, ამდენად ყოველი დარგი მეცნიერებისა, სათანადო დაკვირვების შედეგად ამ მარაგიდან ბევრ საყურადღებო ინფორმაციას იღებს.

მაგრამ, სამწუხაროდ, ქართული გვარები (უფრო მოხერხებულია ტერმინი გვარ-სახელები) ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი; არ არის მეცნიერული პრინციპებით შეკრებილი და სისტემაში მოყვანილი მათი ერთობლივი მარაგი; არ მოგვეპოვება კვლევა-ძიებისათვის საჭირო საინფორმაციო კრებულები და ლექსიკონები. შესაკრებელ-შესასწავლი კი ზღვა მასალაა: ზეპირმეტყველებისა და მწიგნობრობის სფეროებს რომ თავი დავანებოთ, მარტო ჩვენი პრესა ყოველდღიურად თვალშეუდგამ ონომასტიკურ მასალას გვაწვდის.

გამოთვლამ ცხადყო, რომ გაზეთი „კომუნისტი“, მაგალითად, თავის ყოველ ნომერში 400-მდე ქართულ და უცხოურ გვარსახელს ამზეურებს. უამისოდ წარმოუდგენელი იქნებოდა მკითხველისათვის მიწოდებული ცოდნის კონკრეტიზაცია, ამ ცოდნის გარკვეულ კალაპოტში მოქცევა.

საგვაროვნო კოლექტივების სახელების ცალკეულ გვარსახელთა წარმომავლობის, ფუძეთა აგებულებისა და შინაარსის გამოკვლევებისათვის მეცნიერებას ხშირად შორს წასვლა არც კი უხდება, რადგან თვით გვარეულობის წარმომადგენელთა მეხსიერებაში ინახება ფრიად საყურადღებო ცნობები. მაგალითად ზემო იმერეთის სოფლებში დუნთასა და სავანეში ცხოვრობენ მაკასარაშვილები. მისი უცნაური ფუძის ასახსნელად პენსიონერმა სამა მაკასარაშვილმა მოგვაწოდა ცნობა, რომლის თანახმად მათი წინაპარი, გვარად მაქაცარია, სამეგრელოს სოფელ ნოჯიხევიდან გადმოსახლებულა იმერეთში და თავისი გვარიც ახალ ვითარების შესაბამისად გადაუკეთებია. კახელ ლეკიშვილთა ძველი გვარი ჯაჭვაძე ყოფილა. ჯაჭვაძეთა ერთ-ერთი ბავშვი დაღესტანში გაუტაციათ, დავაჟკაცების შემდეგ იგი უკან დაბრუნებულა და მისთვის მეტსახელად ლეკი შეურქმევიათ, რაც ახლად წარმოქმნილი გვარის ფუძედ ქცეულა.

სოფელ სანავარდოში (ყვარლის რაიონი) ერთ-ერთი საიშვიათო გვარის — წამებულიძის წინაპარნი მარტიაშვილები ყოფილან. გადმოცემით მათი სოფელი მტერს აუოხრებია. ახალ ადგილზე ლტოლვილთ ძველი გვარის ნაცვლად ეს ტრაგიკული შინაარსის საგვაროვნო სახელწოდება მიუღიათ.

ამგვარი ცნობები და თქმულება-გადმოცემები თვალწინ გვიყენებენ საგვარეულოთა თავგადასავალს, მათი მოძრაობის შრომა-საქმიანობასა და ყოფას. ეს მასალა უნდა შევკრიბოთ და მეცნიერების სამსახურში ჩავაყენოთ.

**ამ ფრიად საშური საქმის შესრულებაში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ჩვენს პრესას. ამიტომ ვთხოვთ გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს, მოაწოდონ რედაქციას ამგვარი ცნობები, რომელთაგან ზოგიერთი უთუოდ გამოქვეყნდება გაზეთის ფურცლებზე, მთლიანად კი გადაეცემა დაინტერესებულ სამეცნიერო დაწესებულებას, რომელიც აგროვებს და სწავლობს ქართული გვარსახელების ლექსიკურ ფონდს.**

**ილია მაისურაძე,**

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.

**ახალი ლექსები**

## მორის ფოცხიშვილი

### ჟინვალჰესთან

ახლა მე, როგორც ჟინვალჰესთან [illegible]
კავკასიონის აორტას — არაგვს,
შედედებული სიცოცხლე მზარავს.

მაგრამ სინათლედ ქცევის სურვილით
მეც არაგვივით ვიწყე დუმილი
და გარდასახვის მოლოდინში ვარ.

თავშეკავებას, მოთმინებას,
თუნდ მორჩილებას
აქვს გამართლება, თუ ყველაფერს
აქცევ სინათლედ...
ო, ჩემო მშვიდო სიცოცხლეო,
თავი იმართლე,
მაღალი ძაბვის მავთულებში
იმართლე თავი!!!

### განუყოფელი

თხილის გული გაიყოფა, —
სამშობლო არ გაიყოფა!
პურის ნატეხი გაიყოფა, —
სამშობლო არ გაიყოფა!

ჭირი გაიყოფა,
ლხინი გაიყოფა, —
სამშობლო არ გაიყოფა!

ერთი მოწევა
თამბაქო გაიყოფა,
ერთი ანთება ასანთი გაიყოფა, —
სიკვდილი გაიყოფა,
საფლავი გაიყოფა,
ბოლოს და ბოლოს,
დედის გულიც გაიყოფა, —
სამშობლო არ გაიყოფა!

### მიწა

მიწა თითქოსდა მიწაა ყველგან,
მაგრამ,
სამშობლოვ,
ვინც კი ფეხი
შენს მიწაზე აიდგა ერთხელ,
უკლებლივ ყველა
შენს მიწაში დამარხვას ნატრობს.

### დედა

ო, რა ძალა აქვს ამ ერთ სიტყვას,
თუ სიკვდილის წინ
ყოველგვარ ასაკს გადამცდარი,
სულ მთლად მიხრწნილი,
უკვე ნახევრად გარდაცვლილი
ადამიანი
კვლავ ამ ერთ იმედს ებღაუჭება:
დედა!!!

●●

მტერი იტყვის
და მტერს ეთქმის:
„მე ჩემთვის და
შენ კი შენთვის!“

### აღმართზე

აღმართზე
შედგა მოხუცი მგზავრი
და მისი გული
თითქოს ჩემს მკერდში
შეტოკდა უცებ...

●●

მხოლოდ
ერთგულთა ორგულობა
თუ გამაოგნებს,
თორემ
ორგულთა მტრობა ქვეყნად
ვინ გაიკვირვა.

### რა უფლება გაქვს იყო წარსულში

სინათლის დროშა როგორ დაუშვი,
ვით განისვენებ მწუხრში დიდებით,
რა უფლება გაქვს,
იყო წარსულში,
ოდეს მომავალს აწმყოდ სჭირდები?!

თქვი რა უფლებით გრჩება მიწაში
აზრად — სისხლი და
ცნებად — რიჟრაჟი?!

ხარ ჩამხობილი ხნულში თესლივით,
ვაი, აგკენკენ მარცვლად ჩიტები...
სატევარივით ფხაალესილი
შენ საქართველოს
შუქად სჭირდები!
რა უფლება გაქვს იყო წარსულში?!

●●

უზრდელობაა
სხვის საქმეში ჩარევა, მაგრამ
ეს სხვისი საქმე რაა ქვეყნად,
ვინ გაარკვია?!

რედაქტორი გ. გედევანიშვილი.

**მხატვრის ღიმილი**



— „ლევი შტრაუსს“ მიწუნებ ქალო, ამერიკულ ჯინსს?
— გითხარი, თბილისური ჯინსის მეტს არაფერს ჩავიცვამ.

გ. ფირცხალავას ნახატი.

**ტელევიზია**

### 11 თებერვალი

**პირველი პროგრამით**

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.40 — კინონარკვევი „ახალგაზრდული ქუჩის სასიყვარულო ქრონიკა“, 10.00 — შევისწავლოთ რუსული ენა (ფერადი), 10.30 — მაღვიძარა (მოსკოვიდან), 11.00 — ცეროდენას ეკრანი (ქართულ ენაზე) ფერადი, 11.50 — კინოჟურნალი, 12.00 — „სტუმრად ზღაპართან“ — მხატვრული ფილმი „თოჯლის დედოფალი“ (მოსკოვიდან), 13.30 — ტელეკურსელთათვის — ქართული ენა (ფერადი), 14.00 — კინოაფიშა, 14.30 — მუსიკალური კიოსკი (მოსკოვიდან), 15.00 — „სატურნი“— მეორე ნახევარფინალი, 16.30 — ხუთწლედი — წელი მეოთხე, 17.15 — დეპუტატობის კანდიდატები — ნინო ჯავახიშვილი, 17.45 — კინოს მოყვარულთათვის, 19.00 — საერთაშორისო პანორამა (მოსკოვიდან), 19.45 — კონცერტი, 20.15 — კინომოგზაურობის კლუბი (მოსკოვიდან), 21.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, 22.50 — საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის).

**მეორე პროგრამით**

17.00 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ავტომობილი, ვიოლინო და ძაღლი კლიაქსა“ (ფერადი), 18.35 — გასართობი კინოპროგრამა, 19.30 — სატელევიზიო ფერადი მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ჩრდილები შუადღისას ქრებიან“ VII სერია, 20.35 — დოკუმენტური ფილმი, 21.00 — შეხვედრა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტ ანგელინა სტეპანოვასთან.

**თეატრი**

### 11 თებერვალი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — რომანტიკული სურათები (დღისით), მოახლე ქალბატონი, სოფლის პატიოსნება (საღამოს, XII აბონ. I წარმ.); შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — საბრალდებო დასკვნა (დღისით და საღამოს); კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — იეთიმ გურჯი (დღისით), მარტოობის დღესასწაული (ფიროსმანი) საღამოს; ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჩარლის დეიდა (დღისით), ლამანჩელი (საღამოს); კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელოსნო — დარაბებს მიღმა გაზაფხულია.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 02017 საქართველოს კომპარტიის ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.